პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი 21 ივნისი 1978 წ. № 145 (17189) ფასი 2 კაპ.

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

## დღის უპირველესი ამოცანაა:

[illegible]

## ჩვენს დიად სამშობლოში

## მთავარია მარცვლის ხარისხი

[illegible]

## „პრავდის“ ფურცლებში

[illegible]

ნგრადის ხელოვნური ტყავის დამამზადებელი საწარმოო გაერთიანება „პროლეტარსკი ტრუდის“ პარტიული კომიტეტის მდივნის ვ. ხევახტიანოვის წერილს „როცა თითოეული თავის მიზანს ხედავს“. მასში ლაპარაკია გაერთიანებაში დანერგილ სიახლეებზე, როცა დაძაბული გეგმის მიუხედავად, ტემპის შეუნელებლად ხდება საწარმოო სიმძლავრეებისა და პროცესების გადახალისება. მეცხოველეობის პროდუქტებით მშრომელთა უზრუნველყოფის საჭირბოროტო საკითხებზეა ლაპარაკი გაზეთის კორესპონდენტის ვ. ვასილეცის წერილში „ლვოვური რეზერვი“ (რუბრიკა — „ფერმიდან — მომხმარებლამდე“).

პროფტექნიკური განათლების მომწიფებულ პრობლემებს განიხილავს ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ა. სოკოლოვსკი წერილში „ვინა დგას გუშაგად გზაჯვარედინზე“. აქვე, მესამე გვერდზე მკითხველი გაეცნობა რეპორტაჟს „სალიუტ-6“ კოსმოსური ხომალდის ფრენის მართვის ცენტრიდან, მკითხველთა წერილების მიმოხილვას სოციალისტური თანაცხოვრების საკითხებზე; მეოთხე-მეხუთე გვერდებზე — საზღვარგარეთის ამბებს; ბოლო გვერდზე — ვრცელ განყოფილებას — „ხელოვნების სამყაროში“, სპორტულ ინფორმაციებს.

ПРАВДА

# სანიმუშოდ ავიღოთ და დავაბინაოთ!

## მოსავალი — 78

## ქერს მკიან...

[illegible]

## თივა, სენაჟი, სილოსი

[illegible]

... კორ.). ამას წინათ მოწყობილ შაბათობაზე 332 ტონამდე ბალახი გათიბა. სულ რაიონში 16.309 ტონა ბალახი და 15.009 ტონა სენაჟი დამზადდა. გეგმა-ვალდებულებით უნდა დამზადდეს 14.200 ტონა.

საგარეჯო. („კომუნისტის“ კორ.). კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გათიბეს 5.593 ტონა ბალახი და დაამზადეს 5.553 ტონა სენაჟი. გეგმა-ვალდებულებით უნდა დაამზადონ 20 ათასი ტონა სენაჟი.

გორი. („კომუნისტის“ კორ.). ყოველდღე ძლიერდება თიბვის ტემპი—უკვე გაითიბა 2.215 ტონა და დამზადდა 2.210 ტონა სენაჟი. გეგმა-ვალდებულებით 21.370 ტონა სენაჟი უნდა დამზადდეს.

თელავი. („კომუნისტის“ კორ.). სულ რაიონში გათიბეს 3.072 ტონა, მარტო შაბათობაზე — 230 ტონა ბალახი. გეგმა-ვალდებულებით 11.700 ტონა სენაჟი უნდა დამზადდეს, დამზადებულია 3.000 ტონა.

კასპი. („კომუნისტის“ კორ.). კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 438 ტონა თივა გათიბეს და დაამზადეს ამავე რაოდენობით სენაჟი. გეგმა-ვალდებულებით უნდა დაამზადონ 10.520 ტონა სენაჟი.

## 420.000 ტონა ჩაისათვის

## მუშინ ჩაის პლანტაციებში

მახარაძე. („კომუნისტის“ კორ.). კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 19 ივნისისათვის მოკრიფეს 37.490 ტონა ჩაის ნედლეული. ეს შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით 3.668 ტონით მეტია.

ქობულეთი. („კომუნისტის“ კორ.). სეზონის დაწყებიდან 19 ივნისისათვის მოკრეფილია 17.881 ტონა ჩაის ნედლეული. ამით შარშანდელ მაჩვენებელს 334 ტონით გადააჭარბეს. წელს გეგმა-ვალდებულებით უნდა მოკრიფონ 38.500 ტონა ფოთოლი.

ლანჩხუთი. („კომუნისტის“ კორ.). წელს გეგმა-ვალდებულებით უნდა მოკრიფონ 20.200 ტონა ჩაის ნედლეული, მოკრეფილია 10.095 ტონა, რაც შარშანდელ მაჩვენებელს 592 ტონით აღემატება.

წყალტუბო. („კომუნისტის“ კორ.). სულ მოკრეფილია 5.114 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი. წელს გეგმა-ვალდებულებით უნდა მოიკრიფოს 11 ათასი ტონა ჩაის ნედლეული.



სურათზე: [illegible] (ფოტოქრონიკა).



## ურჩხელი კომუნისტების საზრუნავი

[illegible] მინდვრებსა და პლანტაციებში დაიძრნენ აგიტატორები, პოლიტინფორმატორები. ა. აჯიბა, ე. კუნშულია და სხვები მშრომელებს მიმდინარე საერთაშორისო ამბებთან ერთად, განუმარტავენ თათბირის მასალებს, პარტიის მოთხოვნებს და მის განახორციელებაში თითოეული კოლმეურნის სადღეისო ამოცანებს. ამ დღეებში უფრო დიდი მონდომებით შრომობენ მეჩაიეები. დღეისათვის მოკრეფილია 460 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც შარშანდელ შესაბამის პერიოდს მნიშვნელოვნად აღემატება.

საკვებმომპოვებელთა ბრიგადა, რომელსაც სათავეში უდგას კომუნისტი ხ. იაკობიძე, პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ საქმეს. წელს უნდა დამზადდეს 324 ტონა რძე და თითოეულ ძროხაზე მოწველონ 2500 კილოგრამი რძე. ცხადია, ეს შეუძლებელი იქნება, თუ არ გვექნა ყუათიანი საკვები და კარგად არ მოვუარეთ პირუტყვს. ჩვენი მეციტრუსეები კი იბრძვიან 400 ტონა ციტრუსისათვის.

**შ. ვარშანიძე,**
ხელვაჩაურის რაიონის ურეხის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი.

## თანამშრომლობა ფართოვდება

[illegible]

## უძველესი ქალაქის სიახლე

[illegible] და ბიბლიოთეკა, რომლის საცავი ორ მილიონ ტომს დაიტევს. სამ საუკუნეზე მეტი ისტორიის მქონე ქალაქის — ირკუტსკის ახალი კულტურული ცენტრის მახლობლად მდებარეობს ციმბირის უძველესი ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ძეგლი — თეთრი ქვის ჯვართამაღლების ეკლესია. გასული საუკუნის ყველაზე მნიშვნელოვან ხის შენობებთან ერთად იგი ნაკრძალ ზონაში შევა.

(საკდესი).

## ჩეხოსლოვაკიური წიგნები

დამთავრდა 15 ტომიანი „ჩსსრ ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ გამოშვება, რომელშიც შევიდა ჩეხური და სლოვაკური პროზის, პოეზიისა და დრამატურგიის უკანასკნელ მეოთხედ საუკუნეში გამოშვებული ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებები.

ჩეხოსლოვაკიურ წიგნებს, აცნობეს საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის გამსახკომში, ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავთ უცხოური ლიტერატურის გამოცემებს შორის. საბჭოთა კავშირში არაერთხელ გამოიცა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის დოკუმენტები და მასალები, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გ. ჰუსაკის სტატიები და სიტყვები. ახალ გამოცემებს შორისაა პოლიტიკური გამომცემლობის მიერ მომზადებული ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XV ყრილობის დოკუმენტები და მასალები. გამომცემლობა „ნაუკამ“ გამოსცა „საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობის ისტორიის დოკუმენტებისა და მასალების“ მეორე ტომი, რომელიც ორი ქვეყნის მეცნიერთა კოლექტიური ნაშრომია.

სსრ კავშირის ხალხთა თითქმის ორმოც ენაზე გამოდის ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მხატვრული ლიტერატურა. საბჭოთა ადამიანები მუდამ დიდი ინტერესით კითხულობენ ი. ჰაშეკის, ბ. ნემცოვას, მ. პუიმანოვას, ი. ფუჩიკის, კ. ჩაპეკისა და ბევრი სხვა მწერლის ნაწარმოებებს. (საკდესი).

## წინ არის შეხვედრა პოლუსელებთან

ატომმავალი „ციმბირი“. 20 ივნისი. (საკდესი). „ყინული ათ ბალამდე აღწევს. გზას დარტყმებით მივიკვლევთ...“ ასეთი ჩანაწერი სულ უფრო ხშირად ჩნდება ატომმავლის ვახტის ჟურნალში. სატრანსპორტო გემის „კაპიტან მიშევსკის“ გაყვანის დამთავრების შემდეგ დასავლეთისკენ სავალი გზა უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე აღმოსავლეთისაკენ. დაიწყო ყინულის მორიგი შეკუმშვა, ხშირად ყინულის სწორ ველზე უცებ აღიმართება მრავალმეტრიანი მწკრივი. მის წინაშე უძლურია თვით უძლიერესი ხომალდიც კი. სწორედ ამიტომ „ციმბირს“ გარსშემოსავლელი გზების ძიება უხდება. ექსპედიციის წევრები კი ჩვეულებრივი სამუშაო რიტმით განაგრძობენ ცხოვრებას. კვლევის პროგრამას წარმატებით ასრულებენ სპეციალისტები, გემზე მყოფი მთელი რიგი სამეცნიერო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ატომმავალმა შელაგის კონცხამდე მიაღწია და ჩრდილოეთისკენ აიღო კურსი. დაიწყო რეისის მორიგი ეტაპი. წინ არის შეხვედრა სამეცნიერო მოდრეიფე სადგურის „ჩრდილოეთ პოლუს-24-ის“ პოლუსელებთან.

**დამკვრელურ წელს — მთელი ჩვენი უნარი და მონდომება!**

# იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის XI ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მიესალმება იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის XI ყრილობის დელეგატებს, ყველა იუგოსლავ კომუნისტს და უსურვებს ყრილობას წარმატებულ მუშაობას.

საბჭოთა კომუნისტები, ჩვენი ქვეყნის მშრომელები დიდად კმაყოფილი არიან იმით, რომ საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მოძმე ხალხების მეგობრობა, სსრ კავშირისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობა ვითარდება და მტკიცდება. წყვეტენ რა კომუნისტური და სოციალისტური მშენებლობის ამოცანებს, სსრ კავშირსა და იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკას ყველა დარგში ურთიერთობის გაღრმავების ფართო შესაძლებლობანი აქვთ. ამ ურთიერთობის განვითარების პოზიტიურ პროცესზე განმსაზღვრელ გავლენას ახდენს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ამხანაგური კონტაქტების განმტკიცება. საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის თანამშრომლობის განმტკიცებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბროზ ტიტოს შეხვედრებსა და მოლაპარაკებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თანამიმდევრულად ილვწის, რათა განავითაროს თანამშრომლობა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირთან და სხვა მოძმე პარტიებთან მარქსიზმ-ლენინიზმის იდეურ საფუძველზე, ამასთან მტკიცედ იცავს თანასწორუფლებიანობისა და დამოუკიდებლობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, ინტერნაციონალური სოლიდარობის პრინციპებს. კომუნისტური და მუშათა პარტიების მჭიდრო ურთიერთობით, მათი მუდმივი ურთიერთმხარდაჭერით ნათლად ვლინდება თანამედროვე რევოლუციური პროცესის, სოციალიზმისა და კომუნიზმისაკენ ხალხთა წინსვლის ინტერნაციონალური ხასიათი.

საბჭოთა ადამიანები კეთილმოსურნე ინტერესით ეკიდებიან სოციალისტური იუგოსლავიის ხალხთა ცხოვრებასა და შრომას, ქვეყნის შემდგომი განვითარების აქტუალური საკითხების გადაწყვეტაში იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის მრავალმხრივ საქმიანობას. მივესალმებით თქვენს მიღწევებს სოციალისტურ მშენებლობაში, ქვეყნის ცხოვრებაში მუშათა კლასისა და მისი პოლიტიკური ავანგარდის როლის ამაღლებისათვის იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის მე-10 ყრილობის მიერ დასახული ამოცანების რეალიზაციაში, თქვენს მეცადინეობას, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობის უზრუნველყოფასა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

სოციალისტური ქვეყნები, რომლებიც დიდ წარმატებებს აღწევენ სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში, სულ უფრო ღრმა და მრავალმხრივ გავლენას ახდენენ მსოფლიო საზოგადოებრივ განვითარებაზე. თვით ცხოვრება დამაჯერებლად ცხადყოფს სოციალისტური წყობილების გადამწყვეტ უპირატესობებს კაპიტალიზმის წინაშე, მარქსის, ენგელსის, ლენინის დიადი იდეების წარუვალ ღირებულებას. ეჭვს არ არის, რომ მოძმე პარტიების მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის, კაპიტალიზმიდან სოციალიზმსა და კომუნიზმზე გადასვლის ობიექტური კანონების შემოქმედებით გამოყენებას თითოეული ქვეყნის კონკრეტულ პირობებში, საზოგადოებრივ გარდაქმნათა ერთობლივი გამოცდილების უნარიან გამოყენებას მსოფლიო სოციალიზმის ახალი გამარჯვებები მოჰყვება.

თანამედროვე ეტაპზე ფრიად აუცილებელი ხდება დაძაბულობის შენელების პროცესის დამკვიდრება და განვითარება, საერთაშორისო დაძაბულობის არსებული კერების ლიკვიდაცია, გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და ახალი მსოფლიო ომის საფრთხის აღმოფხვრა. თავიანთი საერთო მეცადინეობითა და კონსტრუქციული ინიციატივებით სოციალისტურ სახელმწიფოებს უდიდესი წვლილი შეაქვთ ამ საარსებო მნიშვნელობის ამოცანების გადაწყვეტაში, მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრების საქმეში, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებაში.

დარწმუნებული ვართ, რომ იმპერიალისტური ხრიკების წინაშე მთელი მშვიდობისმოყვარე, პროგრესული ძალების შემდგომი მჭიდრო შეკავშირება დაუძლეველ დაბრკოლებას შეუქმნის მათ, ვისაც სურს კაცობრიობა მსოფლიო კატასტროფის მიჯნაზე მიიყვანოს. საბჭოთა კავშირში დიდად აფასებენ მიუმხრობლობის მოძრაობის როლს მშვიდობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და განიარაღებისათვის ბრძოლაში და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მიუმხრობელი ქვეყნებისა და სოციალისტური სახელმწიფოების ურთიერთმოქმედების განმტკიცებას.

საბჭოთა კომუნისტები ძმური მეგობრობისა და სოლიდარობის გრძნობით უსურვებენ იუგოსლავ კომუნისტებს, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ყველა მშრომელს დიდ წარმატებებს თავიანთი ქვეყნის ყოველმხრივ განვითარებაში, სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში.

დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის, საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხთა მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა სოციალიზმისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმის სასიკეთოდ!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

## ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ტოდორ ჟივკოვს

ძვირფასო ამხანაგო ჟივკოვ!

დიმიტროვული პრემიის ლაურეატის საპატიო წოდების მონიჭების შესახებ ცნობა ჩემთვის ამაღელვებელიც იყო და სასიხარულოც.

ისევე როგორც ყოველი კომუნისტისათვის, გიორგი დიმიტროვის ცხოვრება ჩემთვის მშვიდობის, დემოკრატიის, სოციალური პროგრესის იმ ნათელი მიზნების თავდადებული სამსახურის კეთილშობილური მაგალითია, რომლებსაც ეძღვნება კიდევაც მისი სახელობის პრემია.

თქვენ, რა თქმა უნდა, იცით, რომ ჩემს მუშაობას მუდამ ჩვენი ლენინური პარტიის საქმიანობას ვუკავშირებდი და ვუკავშირებ. პატივი, რომელიც მე დამდეთ, უწინარეს ყოვლისა, იმ მაღალი როლის აღიარებად მიმაჩნია, რომელსაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ასრულებს დიმიტროვულ პრემიასთან დაკავშირებული იდეალების დამკვიდრებაში.

თქვენს გულთბილ მომართვაში, ძვირფასო ამხანაგო ჟივკოვ, მწერთ იმაზე, რომ დღენიადაგ ღრმავდება და ვითარდება ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, რომელსაც უკავშირებს ბულგარელი ხალხი თავისი სოციალისტური სამშობლოს აყვავებას. საბჭოთა ადამიანებს თავის მხრივ მოძმე ბულგარეთთან მეგობრობა ისტორიის ძვირფას საჩუქრად მიაჩნიათ.

ჩვენ, საბჭოთა და ბულგარელ კომუნისტებს, სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ არათუ დავიცავით, არამედ კიდევაც ვამრავლეთ ეს საჩუქარი.

გულითად მადლობას მოვახსენებ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს საპატიო ჯილდოსათვის. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი პარტიები და ხალხები კვლავაც მხარდამხარ ივლიან კომუნისტური მომავლისაკენ.

გულწრფელი პატივისცემით.

**ლ. ბრეჟნევი.**

## ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში

ამა წლის 27 ივნისს რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქ ბუქარესტში გაიხსნება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის XXXII სხდომა.

მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, სესიის სხდომა გაიმართება ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მთავრობათა მეთაურების დონეზე.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**ამხ. გ. ი. ქადაგიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ამხ. გრიგოლ ილიას ძე ქადაგიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1978 წლის 20 ივნისი.

# ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა

ანკარა, 19 ივნისი. საკდესის კორესპონდენტი ა. ეროფეჩენკოვი იუწყება: საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ეკონომიკურ და ტექნიკურ თანამშრომლობას დიდი ხნის ტრადიციები აქვს. მას დასაბამი მიეცა მათი ხალხების ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდში — თურქეთის რესპუბლიკისა და საბჭოეთის შექმნის პერიოდში. დღემდე თურქეთის ეროვნული ეკონომიკის სიამაყეს ჯერ კიდევ ოცდაათიანი წლების დამდეგს აშენებული საფეიქრო ფაბრიკები კაისერიასა და ნაზილში — ორი ქვეყნის ერთობლივი მეცადინეობის პირველი ობიექტები. სამხრეთელ მეზობელთან მეგობრობისა და ურთიერთხელსაყრელი კავშირის განმტკიცებისადმი საბჭოთა კავშირის გულწრფელი მიდგომის დადასტურება გახდა ათობით დიდი ობიექტი, რომლებიც ახლა თურქეთის ინდუსტრიის მრავალი დარგის საფუძველს შეადგენენ. მათ შორის არის ახლო და შუა აღმოსავლეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში უდიდესი სეიდიშეხირის ალუმინის კომპლექსი, საპროექტო სიმძლავრეს ბევრად გადააჭარბა ალიგის ნავთობგადასამუშავებელმა ქარხანამ.

ეკონომიკური პრობლემების ურთიერთხელსაყრელი გადაწყვეტის გზაზე ახალი ღირსშესანიშნავი ეტაპი იქნება სსრ კავშირში თურქეთის პრემიერ-მინისტრის ბულენთ ეჯევითის მომავალი ოფიციალური ვიზიტი.

# რეაქციასთან კავშირი

ნიუ-იორკი, 20 ივნისი. (საკდესი). ზაირის რეჟიმი აპირებს ჩინეთისაგან მიიღოს დაახლოებით 20 ტანკი თავისი არმიისათვის, აგრეთვე სხვა სამხედრო ტექნიკა, მათ შორის საპატრულო კატარღები. ამას იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნეშენლის სააგენტოს კორესპონდენტი. ჩინეთიდან ზაირისათვის იარაღის მიწოდებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავენ მომავალ მოლაპარაკებაზე ჩინეთის დელეგაციასთან, რომელსაც მეთაურობს ჩინეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე ჩი ხაო-ტიანი. ეს სამხედრო დელეგაცია, რომელიც ამჟამად დასავლეთ ევროპაში იმყოფება, 24 ივნისს კინშასას ეწვევა.

როგორც პრესა აღნიშნავს, პეკინმა მისცა პრინციპულად თანხმობა ზაირს იარაღის მიწოდებაზე, მაშინ, როცა ზაირის შაბის პროვინციას ეწვია ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ხუან ხუა. მან ჩინეთის მთავრობის სახელით კმაყოფილება გამოთქვა ნატოს ქვეყნების შეიარაღებული ინტერვენციის შედეგების, „გამარჯვების“ გამო, რომელიც მათ ამბოხებულებთან ბრძოლაში მოიპოვეს. მალე ამის შემდეგ კინშასას ეწვია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო-საზღვაო ძალების მრჩეველთა ჯგუფი, რომლებიც გაწვრთნიან ზაირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის პირად შემადგენლობას.

## უარყოფენ მონაჭორებს

ჰანოი, 20 ივნისი. (საკდესი). ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკისადმი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ოფიციალურ პირთა ცილისმწამებლური განცხადებებისა და პროვოკაციული მოქმედების გამო გულწრფელი აღშფოთება გამოთქვეს ვიეტნამის სოციალისტურ რესპუბლიკაში მცხოვრებმა ჩინური ეროვნების პირთა წარმომადგენლებმა ჰაიფონში გამართულ უცხოელ კორესპონდენტებთან შეხვედრაზე.

გამოსულებმა კონკრეტული ფაქტებით უარყვეს პეკინის პროპაგანდის მონაჭორები იმის შესახებ, რომ ვიეტნამში მცხოვრები ჩინელები თითქოს განიცდიდნენ დევნას, ძალით აძევებდნენ ქვეყნიდან.

მთელ ქვეყანაში იმართება მიტინგები და კრებები, რომლებზეც ჩინური ეროვნების პირები მხარს უჭერენ ვიეტნამის კომუნისტური პარტიისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკას.

## საშიში ტენდენციები

ლუსაკა, 20 ივნისი (საკდესი). გაზეთი „ტაიმს ოფ ზამბია“ აკრიტიკებს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს „ცივი ომის“ ხანის აღორძინებას და არ შეესაბამება მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ინტერესებს. უნდა შევნიშნოთ, რომ ვაშინგტონის აფრიკული პოლიტიკის შემოქმედნი, წერს „ტაიმს ოფ ზამბია“, სრულიად ვერ ერკვევიან ჩვენი კონტინენტის რეალობებში. მათს შეხედულებებს „ცივი ომის“ სულისკვეთება განსაზღვრავს.

## მსოფლიოს ამბები

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

# მასების კონტროლით! 137

# ტექნიკას — მტკიცე დაცვა

ვამოწმებთ შესრულებას

**სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მოისმინა მშენებლობის სამინისტროს ინფორმაცია კონტროლის კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად გაწეულ მუშაობაზე.**

კომიტეტმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მიერ გაწეულია გარკვეული მუშაობა სამშენებლო ორგანიზაციებში სახელმწიფო წესრიგის დასამყარებლად.

მშენებლობის სამინისტრომ იანვრის პირველ ნახევარში განიხილა სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება. წლეულსვე 23 მარტს ამავე სამინისტროს კოლეგია კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს.

აღნიშნულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად ყველა სამშენებლო ორგანიზაციასა და სამრეწველო საწარმოში უსაფრთხოების ტექნიკის სამსახური და ტვირთამწე მექანიზმების ექსპლოატაციის წესების დაცვისადმი ზედამხედველობის ჯგუფი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური მუშაკებით, ხოლო № 5 და № 15 ტრესტებში მოეწყო უსაფრთხოების ტექნიკის სამსახურის ცენტრალიზაცია და შეიქმნა განყოფილებები 5-7 კაცის შემადგენლობით; სამინისტროს ცენტრალიზებული ფონდიდან შეძენილია 12 ათას მანეთად ღირებული 20 ათასი ცალი უსაფრთხოების ტექნიკის პლაკატი და გამაფრთხილებელი წარწერა, რომლებითაც უზრუნველყოფილია სამინისტროს ყველა ტრესტი.

კონკრეტულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო შრომის უსაფრთხოებისა და სამრეწველო სანიტარიის პირობების გაუმჯობესებას, გაიზარდა უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვის სამსახურის მუშაკთა პასუხისმგებლობა. მიღებული ზომების შედეგად შარშან რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს ხაზით უბედური შემთხვევების რიცხვი წინა წელთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა, სიხშირის კოეფიციენტი — 13 პროცენტით, შრომისუუნარობით დღეების დანაკარგები — 10 პროცენტით.

და მაინც მიუხედავად იმისა, რომ მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემის ბევრ მშენებლობასა და სამრეწველო საწარმოში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობა კვლავ არადამაკმაყოფილებელია. რესპუბლიკის სამთოტექზედამხედველობის კომიტეტთან ერთად ჩატარებულმა შემოწმებამ შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის მოთხოვნათა დარღვევის მრავალი შემთხვევა გამოავლინა. მაგალითად, ორთქლის ქვაბების ექსპლოატაცია ხდება წყალსარბილებელი ფილტრების გამოუყენებლად, არსებული ფილტრები კი ეფექტიანად არ მუშაობენ. არსად არ არის ავზები, გამორთულია ან დემონტირებულია უსაფრთხოებისა და დაცვის ავტომატიკა (წყლის ზღვრული დონის სიგნალიზატორი, თხევადი და აირადი სათბობის წამკვეთები). № 2, 3, 4, 5, 6, 8, 9, 10 და 14 ტრესტების სამრეწველო საწარმოთა კომბინატებში ხელახლა შესამოწმებელია საკონტროლო-საზომი ხელსაწყოები. № 12, 8 და 10 ტრესტების სამრეწველო საწარმოთა კომბინატებში მოუწესრიგებელია ჩამკეტი და მარეგულირებელი არმატურა. საქვაბეებში მოუწესრიგებელია წყლისა და ცეცხლის რეჟიმი, რაც იწვევს მარგი ქმედების კოეფიციენტის დაქვეითებას და სათბობის გაუმართლებელ ხარჯვას, საქვაბეების და გაზგამანაწილებელი პუნქტების სათავსები ჩახერგილია, არ არის გაზმოწყობილობის პროფილაქტიკური მომსახურებისა და ქვაბების შეკეთების ჟურნალები.

ხიდური ამწეები არ არის აღჭურვილი „ამწე-მარკის" სისტემებით, რომლებიც გამორიცხავენ ამწეებზე უცხო პირების მუშაობის შესაძლებლობას; არ არის შექმნილი მეამწეთა უსაფრთხო და მოხერხებული მუშაობის ელემენტარული პირობები, კაბინები შემინული არ არის, არც გათბობაა მოწესრიგებული; გამოსასვლელ გალერეებში არა აქვთ მოაჯირები, ასასვლელი კიბეები აგებულია წესების დარღვევით.

მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის და № 2 ტრესტის № 7 და № 9 სამმართველოში დადგინდა ამორტიზებული და ჩამოწერილი კოშკურა ამწეების ექსპლოატაციის ფაქტები, არ ხორციელდება ამწეების სტატიკური და დინამიკური გამოცდა. ადგილებზე არ არის ტვირთები ამწეების გამოსაცდელად, აგრეთვე ტვირთამწეების შემზღუდველების ყოველდღიური გამოცდისათვის. № 1, 2, 3, 4, 5, 6, 8 და 9 ტრესტებში ბევრი ამწის ექსპლოატაცია ხდება ისეთ პირობებში, როდესაც უსაფრთხოების ხელსაწყოები ან გამორთულია ან უწესრიგო მდგომარეობაშია. არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია კოშკურა ამწეების ლიანდაგები. საპირწონეებისათვის სტანდარტული ტვირთები, რომლებსაც ტრესტ „მშენინდუსტრიის" № 5 რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანა და № 10 ტრესტის სამრეწველო საწარმოთა კომბინატი უშვებენ, არ შეესაბამება ინსტრუქციის მოთხოვნებს და არ არის მარკირებული. გაცვეთილია ამწეების ელექტროგაყვანილობა, მართვის ფარები და პანელები გახსნილია, მთავარ მკვებავ ჩამრაზებზე ჩართულია გარეშე მომხმარებლები, მათზე არ არის დაკალიბრებული მცველები, შლანგიანი კაბელები შედგენილია ცვეთად გადაბმული ცალკეული ნაჭრებიდან, ამწეები არ არის დაკომპლექტებული ძრავებითა და სვლის მუხრუჭებით.

ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის მოთხოვნათა დაცვის მეტი წილი დარღვევები, რომლებიც ადრინდელი შემოწმებით გამოვლინდა, ამჟამადაც გრძელდება. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საქმეში ისეთი არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იმის შედეგიც არის, რომ საქართველოს მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციების სახალხო კონტროლის ჯგუფებმა და საგუშაგოებმა სათანადო დასკვნები ვერ გამოიტანეს, არ გარდაქმნეს მუშაობა პარტიის XXV ყრილობის მოთხოვნათა შესაბამისად.

კონტროლის კომიტეტმა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს (მინისტრის მოადგილე, ო. ბიბილეიშვილი) ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სამშენებლო ორგანიზაციებში კვლავ ირღვევა შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის მოთხოვნები, და დაავალა დადგენილების განუხრელი შესრულება.

# გაუფრთხილდეთ მერქანს — მოვსახმარ... (?) [illegible]

## დაუდევრობანი ხის ტარის მოვლაში

**სოფლის მეურნეობის** პროდუქტების საცავებამდე ან მაღაზიამდე მიტანა სათანადო ტარით ხდება. ძირითადად მას ხე-ტყის მასალისგან ამზადებენ. სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გადიდებასთან ერთად სულ უფრო იზრდება მოთხოვნები ტარაზე. მარტო ჩვენს რესპუბლიკაში ტარის დასამზადებლად ყოველწლიურად 600 ათას კუბურმეტრზე მეტი მერქანი იხარჯება. მერქნის ასეთი რაოდენობის მისაღებად კი უნდა გაიკაფოს რამდენიმე ათასი ჰექტარი ტყის მასივი, ხოლო მის გადმოსაზიდად (ჩვენთან ძირითადად ხე-ტყე სხვა რესპუბლიკებიდან შემოდის) საჭიროა 7-8 ათასზე მეტი რკინიგზის ვაგონი.

ამიტომ გასაგებია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახალხო მეურნეობაში ხის ტარის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებასა და ყაირათიანად გამოყენებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ სახალხო კონტროლის კომიტეტთან და რესპუბლიკის სხვა ორგანოებთან ერთად ამას წინათ მოაწყო ხილ-ბოსტნეულის ტარის დაგეგმვისა და გამოყენების მდგომარეობის შემოწმება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მის გაერთიანება „საქსოფლდამზადებისა" და სხვა ორგანიზაციების მიერ ზომების მიუღებლობის გამო დროულად არ ხდება ტარის ინვენტარიზაცია. მოუწესრიგებელია მისი აღრიცხვა-ანგარიშგება, დაზუსტებული არ არის ხის ტარის ნაშთების მაჩვენებლები. თუ გაერთიანება „საქსოფლდამზადების" მაჩვენებლებს დავუჯერებთ, ტარის ნაშთი რესპუბლიკაში 1978 წლის პირველი იანვრისათვის 58,6 ათას კუბურ მეტრს არ აღემატება, რაც ძალზე საეჭვოა, რადგან სხვა ორგანოების ოფიციალური მონაცემებით ასეთი ტარის ნაშთი რესპუბლიკაში 112,5 ათას კუბურმეტრს შეადგენს.

ეს იმის შედეგია, რომ ზოგიერთი რაიონის სასოფლო-სამეურნეო ორგანოს, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის ხელმძღვანელები ხელოვნურად შემცირებული ოდენობით უჩვენებენ ტარის ნაშთებს, „ცდილობენ" რაც შეიძლება მეტი ოდენობით მოითხოვონ და მიიღონ ახალი ტარა, რომ ამით მიჩქმალონ მისი უყაირათოდ ხარჯვისა და განიავების ფაქტები.

ბევრგან ყურადღებას არ აქცევენ ტარის ბრუნვადობის გადიდებას, თავს არიდებენ ნახმარ ტარის და ახალ ტარა-მასალას დანიშნულებისამებრ არ იყენებენ, რითაც ზრდიან ხარჯებს. გორის რაიონის „სოფლდამზადების" გაერთიანებამ 1977 წელს გეგმით გათვალისწინებულ 7,3 ათასი კუბური მეტრი ნახმარი ტარის ნაცვლად, გამოიყენა მხოლოდ 0,9 ათასი კუბური მეტრი, ხოლო 20,6 ათასი კუბური მეტრი ახალი ტარამასალის ნაცვლად — 22,1 ათასი. არასახარბიელო მდგომარეობაა ქარელისა და ცხინვალის რაიონებში. ქობულეთის რაიონის ხალას შესაფუთ ქარხანაში შარშან ძველი ყუთების შესაკეთებლად დახარჯეს 1,2 ათასი კომპლექტი ახალი ტარა-მასალა, ხოლო გალის რაიონის კოხორის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში — 3,1 ათასი კომპლექტი, ეს მაშინ, როცა შესაძლებელი იყო ძველი ყუთების დაშლით მიღებული მასალის გამოყენება.

საჩხერის რაიონის დამზადების ყოფილი კანტორის მუშაკები, არც კი დაფიქრებულან იმაზე, თუ რაოდენ დიდ ზარალს აყენებდნენ ისინი სახელმწიფოს, ჭიდევსას ყოველ ყუთს 2-2 ცალ ფიცარს აკლებდნენ. ირღვევა ტარის შენახვისა და მოვლა-პატრონობის წესები, ხშირია ტარის უკანონოდ ჩამოწერის ფაქტები; ისარგებლეს რა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ზოგიერთი სხვა ორგანოს წაყრუებით, მარტო ქარელის, გორის, კასპის, მარნეულისა და გარდაბნის რაიონის 18 საბჭოთა მეურნეობაში 685 ათასი ცალი ყუთიდან უკანონოდ ჩამოწერეს 628 ათასი ცალი, ანუ მთელი რაოდენობის 91,6 პროცენტი.

უკანონოდ ტარის ჩამოწერასა და მის განიავებას ხელი შეუწყო საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მერქნის დაცვის რესპუბლიკური სამმართველოს ექსპერტების მიერ ფიქციურად შედგენილმა აქტებმა, რომლებშიც ტარის ფაქტიური მდგომარეობის აღწერის ნაცვლად მეურნეობებს ტარის ჩამოწერის ნება მისცეს.

ამ სამმართველოს ორი მუშაკი (ექსპერტი) მივლინების მოწმობების გაუფორმებლად და ხარჯების აუნაზღაურებლად 1977 წლის 16 დეკემბრიდან 1978 წლის 20 იანვრამდე 36 დღეს იმყოფებოდნენ გორის, ქარელის და კასპის რაიონებში. მათ ამ რაიონების საბჭოთა მეურნეობებში შედგენილ აქტებში შემოწმებულად უჩვენეს 507 ათასი ცალი ხის ყუთი, რომლიდანაც უვარგისად მიიჩნიეს 456,1 ათასი ცალი. ამ სამუშაოს მოანდომეს 870 საათი, რის გამო მეურნეობებმა გადაუხადეს ათას ხუთასი მანეთი.

სამმართველოს ექსპერტთა დასკვნით, უვარგისად იყო მიჩნეული გარდაბნის რაიონის რაიკოოპკავშირის ყოფილი დამზადების კანტორაში 110 კუბური მეტრი ტარამასალა, მაშინ როცა ამ მასალიდან კანტორამ, როგორც შარგისო ცეკავშირის თბილისის სამშენებლო და სამეურნეო საქონლის კომბინატს მიჰყიდა 59 კუბური მეტრი მასალა.

საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოების მიერ სათანადო ასორტიმენტის ლურსმნის მიუწოდებლობის შედეგად მეურნეობებში ზოგჯერ ჩაშლილი იყო ტარის დროულად დამზადებისა და შეკეთების დავალებები, ლურსმანი არ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს. საჭირო ღონისძიებები არ ხორციელდება ხის ტარის მომსახურების გახანგრძლივებისა და ბრუნვადობის გადიდებისათვის.

ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია ხის ტარის ბრუნვადობის ზუსტი აღრიცხვა, დროულად და სრულად არ უბრუნდება ტარა შემკრებ და შემკეთებელ ბაზებსა და სახელოსნოებს, ზოგჯერ კი მისი გამოყენება აშკარად დანაშაულებრივად ხდება.

უხეში დარღვევებია გამოვლენილი ხილ-ბოსტნეულის ტარის შემოზიდვისა და გამოყენების დაგეგმვის საქმეში. ზოგჯერ კვარტალების მიხედვით რაიონებსა და მეურნეობებში ტარის შეზიდვის დაგეგმვა სწორად არ ხდება, სწორად არ იგეგმება სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადებისა და რეალიზაციის მოცულობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა რესპუბლიკაში ხილ-ბოსტნეულის ტარის დაგეგმვასა და გამოყენებაში არსებული ნაკლოვანებები და მიიღო სათანადო დადგენილება.

ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, აღმასკომებს დაევალათ შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს ხილ-ბოსტნეულის ტარით მომარაგებისა და მისი გამოყენების გაუმჯობესების საქმეში სახელმწიფო წესრიგის დაცვას, სისტემატურად შეამოწმონ ხილ-ბოსტნეულის ტარის გამოყენებისა და შენახვის მდგომარეობა, მკაცრად დასაჯონ დამნაშავეები.

ტარის გამომყენებელ სამინისტროებს, უწყებებსა და საწარმოებს ევალებათ მკვეთრად გააუმჯობესონ ტარის მოვლა-პატრონობისა და გამოყენების საქმე, მათ მაქსიმალურად უნდა შეამცირონ მერქნის ხარჯვა ტარის დასამზადებლად, გაადიდონ ტარის მომსახურების ვადები და ბრუნვადობა, არ დაუშვან მისი არადანიშნულებისამებრ ხარჯვა, ხოლო გამოუსადეგარი და დაზიანებული ტარა დროულად და სრულად ჩააბარონ ტარის შემკრებველ და შემკეთებელ ბაზებსა და სახელოსნოებს.

ა. ლომიძე,
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის რეფერენტი.

## კონტროლიორთა თვალით



თბილისის № 2 ტრიკოტაჟის ფაბრიკის კოლექტივი ენერგიულად მუშაობს დევიზით — ხუთწლედის მესამე წელს — დამკვრელური შრომა, სამუშაოთა მაღალი ხარისხი. ამ ლოზუნგის განხორციელებაში ღირსეული წვლილი შეაქვთ საზოგადოებრივ კონტროლიორებს. სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების ყველა წევრი თვალყურს ადევნებს, რომ ყველა სამუშაო ადგილზე იყოს სანიმუშო წესრიგი, უშვებდნენ უმაღლესი ხარისხის პროდუქციას. ისინი აქტიურად იბრძვიან ნედლეულის, მასალების, ელექტროენერგიის მომჭირნედ ხარჯვისათვის.

• • •

სურათზე: ფაბრიკის სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრი მქსოველი მანანა ხუნწარია და სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე ნანა კოხრეიძე ამოწმებენ მქსოველ ლუიზა ბერიკაშვილის მიერ გამოშვებულ ნაწარმს.

ს. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# ვინ უწყობს ხელს ქორვაჭრებს?

**სადგურზე** მატარებლებსა და ავტობუსებს ისინი პირველნი ხვდებიან. „ბრიტვა", „კრიშკა", „ჟვაჩკა", — მიაძახებენ მგზავრებს. განა მარტო ქობულეთში? ბათუმში, სამტრედიაში, ქუთაისში და სხვაგანაც შევხვედრივარ ასეთ სცენებს. ამას წინათ ისინი ბაზარში სთავაზობდნენ გამვლელებს მინის ქილების ლითონის ხუფებს.

ვინ არიან ისინი? ადამიანები, ვინც ამას სჩადიან, არსად არ მუშაობენ, სპეკულაცია გაუხდიათ შემოსავლის წყაროდ.

ცხადია, ამ საქონელს სპეკულანტები თვითონ არ ამზადებენ, სამწუხაროდ, ზოგჯერ არც მილიციის მუშაკები იჩენენ დაინტერესებას, თუ სად შოულობენ სპეკულანტები საქონელს. ჩვენ დავინტერესდით და აი, რა აღმოჩნდა.

შარშან კურორტვაჭრობის ქობულეთის 4 მაღაზიაში (უნივერსალურ, № 3, 10 და 14 მაღაზიებში) გასაყიდად 8.500 შეკვრა უცხოური წარმოების უსაფრთხო სამართებლის პირი მიიღეს, წელს კი 1000 შეკვრა. სამწუხაროდ, ქალაქის არც ერთ პარიკმახერს ის მაღაზიაში არ უყიდია. თავისუფლად ქსელში სად ნახავთ, გვითხრეს.

წელს მაისის დასაწყისში კურორტვაჭრობის № 4 საწყობში 50 ათასი ცალი ლითონის ხუფი მიიღეს, საწყობს მითითება ჰქონდა, თუ რომელი მაღაზიისათვის რამდენი ხუფი მიეცა. საწყობის გამგემ თ. ხინიკაძემ (სხვათა შორის, დიდი ხნის წინათ სამუშაოდან განთავისუფლებულმა და ჯერაც შეუცვლელმა!) განაწილების სია გვერდზე გადადო და ხუფები იმ მაღაზიებს მისცა, რომელთა თანამშრომლებთანაც ადვილად გამონახავდა საერთო ენას.

იმასაც ამბობენ, რომ არც იმ მაღაზიებში, სადაც საქონელი საწყობიდან მიიღეს, არ გაუყიდიათ ხუფები.

მაშ, რაღა საკითხავია, საიდან უვარდებათ ხელში გადამყიდველებს ხუფები, სამართებლის პირები და სხვა დეფიციტური საქონელი.

ასეთ უმსგავსობას ბოლო უნდა მოუღონ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა.

ო. კონცელიძე,
ქობულეთის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის შტატგარეშე ხელტორის გამგე.

# ადგილობრივ კომიტეტებში

## ახმეტა

რაიონის საბჭოთა მეურნეობებში მინერალური და ორგანული სასუქების შენახვა-გამოყენების მდგომარეობა შეამოწმა კონტროლის კომიტეტმა. გამოირკვა, რომ ამ საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევებია. აგროწესების დაუცველად შეაქვთ ნიადაგში მინერალური და ორგანული სასუქები. ასეთი მდგომარეობა გამოვლინდა ოჟიოს, მაღრაანის, მატნის, ქისტაურის, პანკისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში (დირექტორები — გ. ირემაძე, ჯ. ჯავახიშვილი, ე. ყიზილაშვილი, ი. გოგიშვილი, ა. ბაკურაძე). ზემო და ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობებს (დირექტორები — ვ. ალბუთაშვილი, შ. წომიკურიძე) არა აქვთ სასუქების შესანახი სათანადო ფარდულები. კომიტეტმა ამ მეურნეობათა ხელმძღვანელებს დაავალა საერთო კრებებზე განიხილონ შემოწმების შედეგები და მკაცრად დასაჯონ დამნაშავენი.

## გალი

სახალხო კონტროლის კომიტეტმა შეამოწმა რძის დამზადების საქმეში სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნათა დაცვის მდგომარეობა. შემოწმებით დადგინდა, რომ რაიონის 32 მეურნეობიდან მხოლოდ 12-შია ლაბორატორია და აქედანაც ხუთში არ მუშაობს.

კომიტეტმა რძის ცხიმიანობის განმსაზღვრელი ლაბორატორიების გამოუყენებლობისათვის მეურნეობათა ზოოვეტერინარ სპეციალისტებს ვ. გიორგობიანს, ჯ. ფიფიას, შ. დგებუაძეს, კ. ტყემელაშვილს გამოუცხადა საყვედური, რძის ლაბორატორიების მოუწყობლობისათვის კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა ხელმძღვანელებს ბ. ჯგუბურიას, შ. სიჭინავას, ვ. ეზუგბაიას, გ. ჩაჩიბაიას, მ. ჭედიას, ა. არქანიას, ი. გადელიას, მ. ჩიკვატიას მიეცათ შენიშვნა. კომიტეტმა საყვედური გამოუცხადა აგრეთვე პარტიის XXV ყრილობის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის ბრიგადირს ჟ. ორჟონიას და ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის გამგეს პ. გვაგვალიას.

## გეგეჭკორი

კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო დაზღვევის მთავარ სამმართველოსთან, ადგილობრივ სტატისტიკურ ორგანოებთან ერთად მოაწყო მოსახლეობის პირუტყვის დაზღვევის მდგომარეობის შემოწმება. მიუხედავად გარკვეული მუშაობისა, ამ საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები და დარღვევებია. მოსახლეობის აღრიცხული მსხვილფეხა პირუტყვიდან დაზღვეულია 9,2 ხოლო წვრილფეხა პირუტყვიდან — 3,0 პროცენტი. შარშან პირუტყვის ნებაყოფლობითი დაზღვევის შედეგად მიღებულია 5 278 მანეთი, ხოლო ზარალის ანაზღაურებისათვის გაიცა 9.799 მანეთი. კომიტეტმა საკითხი რეაგირებისათვის რაისაბჭოს აღმასკომში შეიტანა.

## ქედა

რაიონში ტელეფონიზაციისა და რადიოფიკაციის მდგომარეობაზე მსჯელობისას სერიოზული ხარვეზები გამოვლინდა. ბევრგან ძალზე სუსტია ტელეფონების სმენადობა, დროულად არ სრულდება დაზიანებული ობიექტების შესაკეთებელი სამუშაოები, შეკვეთებში ხშირია მეცდომები, რის შედეგადაც აბონენტებს ტელეფონით მომსახურებისათვის ჯადიდებული თანხებს ახდევინებენ. ნაკლოვანებებია რადიოთი მოსახლეობის მომსახურებაშიც. ზოგ სოფელში ცოტაა, ზოგან კი საერთოდ არ არის რადიოწერტი. ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებებისათვის კავშირგაბმულობის კვანძის უფროსს მ. აბულაძეს საყვედური გამოეცხადა, ხოლო სახაზო ტექნიკური უბნის უფროსს მ. გოგბაძეს შენიშვნა მიეცა.

## წერილი კომენტარით

საკორესპონდენტო პუნქტის კარი აღელვებულმა მოქალაქემ შემოაღო და მიღება შთხოვა. დაჯდომისთანავე მან განცხადება მომაწოდა. აი, რას წერდა იგი:

ვარ ტყიბულის ზონის ხრესილის სასოფლო საბჭოსთან არსებული სახალხო კონტროლის ჯგუფის თავმჯდომარე. დაბადებიდან ამ სოფელში ვცხოვრობ, ოცდათი წელია პედაგოგიურ მუშაობას ვეწევი. „კომუნისტის" ა. წ. 28 თებერვლის ნომერში ჩემი ხელმოწერით დაიბეჭდა წერილი „დასამშვიდებლად როდი გვცალია", რომელშიც ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნა იყო გამოთქმული.

რკინიგზის ხრესილის სადგურის უფროსმა შ. ოჩიგავამ კრიტიკა მუნდირის შებღალვად ჩათვალა და საშინლად განრისხდა. მე, სადგურის ბაქანზე მდგომს, მომვარდა, სახჯაროდ გამლანძღა და დამემუქრა. შელაპარაკება ისეთი უხეში და ხმამაღალი იყო, რომ შემთხვევის ადგილზე ხალხი შეგროვდა, მათ შორის ის მოსწავლეებიც, რომელთაც მე საგანს ვასწავლი. იქაურობას რომ არ გავცლოდი, ალბათ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც მომაყენებდა.

ჩემი, როგორც სახალხო კონტროლიორის დევნა-მუქარა ამით როდი დამთავრდა. სადგურის უფროსი ყოველნაირად ცდილობს როგორმე შემავიწროვოს, ავტორიტეტი შემილახოს, სამაგიერო გადამიხადოს გაზეთში გაკრიტიკებისათვის.

ვთხოვ „კომუნისტის" რედაქციას და სახალხო კონტროლის ტყიბულის საქალაქო კომიტეტს წესრიგისათვის მოუწოდოს საწარმოს ასეთ ხელმძღვანელს.

ვ. კუბლაშვილი.

შემოწმებით დადგინდა, რომ საქმე გვაქვს აქტიური სახალხო კონტროლიორის დევნის ფაქტთან. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში შ. ოჩიგავა გაანაწყენა სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრების, პირველ ყოვლისა, მეთაური ჯგუფის თავმჯდომარის ვ. კუბლაშვილის საზოგადოებრივმა საქმიანობამ.

ჯერ კიდევ შარშან სახალხო კონტროლის ჯგუფის კრებას, რომელიც სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმების შედეგებს განიხილავდა, უკლებლივ ყველა კონტროლიორი და წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელი ესწრებოდა. აქ იყო სადგურის უფროსი, კომუნისტი შ. ოჩიგავაც. სადგურის მისამართით საყვედური რომ მოისმინა, განაწყენდა, ეს როგორ მკადრესო, და კრება დემონსტრაციულად დატოვა.

დიდგულა ხელმძღვანელის უტაქტო მოქმედებამ კრების ყველა მონაწილე აღაშფოთა. კონტროლიორებმა მას რამდენჯერმე დაურეკეს ტელეფონით, სთხოვეს დაბრუნებულიყო კრებაზე, მაგრამ არაფერმა გაჭრა. კრებამ პრინციპულად იმსჯელა სადგურში შექმნილ ანტისანიტარიულ მდგომარეობაზე, დასახა გზები მის გამოსასწორებლად.

# კრიტიკით განაწყენებული

რაოდა. მუნდირი შეიბღალეთო

გავიდა ხანი. სადგურის უფროსი კიდევ უფრო გაჯავრდა სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარის ვ. კუბლაშვილის პრინციპული მოქმედების გამო, რომელმაც თავისი ხელმოწერით კრიტიკული სტატია გამოაქვეყნა „კომუნისტში". ამიერიდან იგი კონტროლიორის აშკარა დამცირება-შეურაცხყოფაზე გადავიდა. ამაზე ნათლად მეტყველებს ვ. კუბლაშვილის განცხადებაში მოყვანილი სადგურის ბაქანზე მომხდარი უსიამოვნო ინციდენტი.

უცნაური და ყველაზე აღმაშფოთებელი ის არის, რომ ხრესილის სასოფლო საბჭოს აღმასკომის წევრებმა, პირადად მისმა თავმჯდომარემ გ. ობოლაძემ, სადგურის პარტიული ორგანიზაციის კომუნისტებმა, იცოდნენ რა ყოველივე ეს, დუმილი ამჯობინეს. იმთავითვე არ მიიღეს ზომები კონტროლიორის დასაცავად, მკაცრად არ მოსთხოვეს პასუხი თანამდებობის პირს კრიტიკის ჩახშობისათვის. რატომ მსჯელობის საგნად არ გახადეს დევნის ფაქტი?

წაყრუებით შექმნილმა ხელსაყრელმა ატმოსფერომ ფრთა შეასხა კრიტიკის ჩამხშობს. კონტროლიორთან ანგარიშის გასწორების მიზნით მან განცხადება აფრინა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის გ. ობოლაძის სახელზე და კატეგორიულად მოითხოვა ვ. კუბლაშვილისათვის, სოფლის საყვარელი მასწავლებლისათვის ჩამოერთმიათ ამ ათი წლის წინათ თითქოსდა უკანონოდ მიტაცებული 600 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც რკინიგზის სადგურიდან საკმაო მოშორებით, ლიანდაგის სანაპიროზე მდებარეობს.

სოფლის თავკაცმა გ. ობოლაძემ საკითხის გარკვევა სასოფლო საბჭოს დეპუტატს ჯ. კობახიძესა და კოლმეურნეობის მთავარ აგრონომს გ. კუბლაშვილს მიანდო. ისინი მოერიდნენ შ. ოჩიგავას წყენინებას და ზერელედ მოეკიდნენ დავალების შესრულებას — მივიდნენ ადგილზე, გაზომეს ნაკვეთი და საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის სახელზე დაწერილ მოხსენებითს ბარათში დაადასტურეს მიწის ნაკვეთის ის განზომილება, რომელიც საჩივრის ავტორს თავის განცხადებაში ჰქონდა მოყვანილი. შემმოწმებლებმა გვერდი აუარეს იმ ფაქტს, რომ ჯერ კიდევ 1969 წლის 27 თებერვალს კოლმეურნეობის საერთო კრებამ კანონიერად დააკმაყოფილა სოფლის მკვიდრის, სახალხო მასწავლებლის ვ. კუბლაშვილის თხოვნა და მიწათსარგებლობის წესის დაცვით კუთვნილი საკარმიდამო ნორმის შესავსებად მიუზომა რკინიგზის სანაპიროზე მდებარე ნაკვეთი. აქედან მოყოლებული, ნაკვეთის მეპატრონე იქ ყოველწლიურად თესავდა ერთწლოვან კულტურებს — სიმინდს, ლობიოს, სოიას და სხვ. ნაკვეთის წყალდიდობისაგან წალეკვის ასაკვეთად მდინარის მთელ სიგრძეზე დარგო ტირიფის ხეები, გაამაგრა და დაიცვა, როგორც ნიადაგი, ისე რკინიგზის ლიანდაგის სანაპირო, ერთი სიტყვით, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე და ის პირნი, ვისაც საჩივრის გარკვევა დაეკისრათ, ვალდებულნი იყვნენ განემარტათ შ. ოჩიგავასათვის შეუფერებელი მოქმედება, წინადადება მიეცათ მისთვის, რომ ხელი აეღოთ ვ. კუბლაშვილის დევნაზე. მაგრამ ეს მათ არ ქნეს, რამაც კიდევ უფრო გაათამამა კრიტიკით გაბოროტებული, ავი საქმის სურვილით გამსჭვალული კაცი.

გაზაფხულის თბილი, მზიანი დღე იყო. სახალხო კონტროლიორი ვ. კუბლაშვილი თავის ნაკვეთში ტრიალებდა. მის დანახვაზე სადგურის უფროსს ბოღმა ყელში მოაწვა, ვეღარ მოითმინა, იხმო პოსტზე მდგარი სადგურის მორიგე ა. კუბლაშვილი, მოელაპარაკა მას და ორივემ გეზი ვ. კუბლაშვილის ნაკვეთისაკენ აიღეს. მისვლისთანავე შ. ოჩიგავამ კონტროლიორს ისეთი ყვირილი და ლანძღვა-მუქარა დაუწყო, რომ მთელ სოფელს ესმოდა. უხეშობით რომ გული იჯერა, მიმხედურმა გამარჯვებულის პოზა მიიღო, გაიბღინძა და ვ. კუბლაშვილს კატეგორიული წინადადება მისცა დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ნაკვეთი, თან მკაცრად გააფრთხილა: დღეის იქით ჩემმა თვალებმა აქ, არა თუ შენ, შენი ქათმები, ღორები და ძროხაც არ დაინახოსო.

ფიზიკური შეურაცხყოფის მუქარით შეშინებულმა სახალხო კონტროლიორმა გალცა ამჯობინა და მას შემდეგ, თუმცა რამდენიმე თვე გავიდა, თავის საკარმიდამო ნაკვეთს არ გაჰკარებია.

ამას წინათ სახალხო კონტროლის ტყიბულის საქალაქო კომიტეტმა და „კომუნისტის" რედაქციამ კონტროლიორის დევნის ფაქტები გულდასმით შეამოწმეს, გააანალიზეს და თავის სხდომაზე მკაცრად, პრინციპულად იმსჯელეს. კომიტეტის წევრებმა სასტიკად დაგმეს შ. ოჩიგავას უტაქტო, ყოვლად უმსგავსო მოქმედება. მათ აღნიშნეს, რომ მისი საქციელი სრულიად შეუფერებელია ხელმძღვანელი მუშაკისათვის, მით უმეტეს კომუნისტისათვის და მკაცრ სასჯელს, სამუშაოდან გადაყენებასაც კი იმსახურებს, მაგრამ გაითვალისწინეს რა სხდომაზე მისი გულწრფელი მონანიება, საკმარისად ჩათვალეს მისთვის სასტიკი საყვედურის გამოცხადება. ადგილობრივი გაზეთისა და რადიოგადაცემათა რედაქციებს ეთხოვათ გამოაქვეყნონ სათანადო მასალა. ხოლო სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის გ. ობოლაძის უმოქმედობის შესახებ მოხსენდა ქალაქის საბჭოს აღმასკომს.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

# ზარალი დააკისრეს

სახალხო მეურნეობაში წამატებებისა და თვალის ახვევის ფაქტების ლიკვიდაციის ღონისძიებათა და სახელმწიფო დისციპლინის ამაღლების შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა შესრულების მდგომარეობაზე იმსჯელა ხობის კონტროლის რაიონულმა კომიტეტმა. შემოწმების დროს გაირკვა, რომ საჯიჯაოს ლენინის, ცხაკაიას, ძველი ხიბულის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში ნაკლოვანებებია პირუტყვის მოვლა-პატრონობისა და საკვების ხარჯვაში. ამის გამო კომიტეტმა საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ა. ხუნჯუას, მთავარ ბუღალტერს ე. ნარსიას, ფერმის ყოფილ გამგეს ი. ახალაიას, საჯიჯაოს ცხაკაიას სახელობის ყოფილ თავმჯდომარეს ი. აფშილავას, მთავარ ბუღალტერს ბ. ეჩაძეს, ყოფილ ზოოტექნიკოს რ. იოსავას, ძველი ხიბულის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ყოფილ თავმჯდომარეს გ. კილასონიას, მთავარ ბუღალტერს რ. ქვარაიას თითო-თითო თვის ხელფასის გადახდა დააკისრა.

## „კომუნისტის" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

# როცა კონტროლი ფხიზლობს

„საქყოფრემმშენის" ზესტაფონის სარაიონთაშორისო სარემონტო სამშენებლო სამმართველოს თერჯოლის უბნის მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა ჩვენი გაზეთის „სახალხო კონტროლის" სპეციალურ გვერდზე დაბეჭდილი წერილი „როცა კონტროლი ფხიზლობს". ამის გამო „საქყოფრემმშენის" ტრესტის ზესტაფონის სარაიონთაშორისო სარემონტო სამმართველოს უფროსი თ. ხუსკივაძე გვატყობინებს:

წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. სამმართველოს ადმინისტრაციამ იმსჯელა სარბევის სახელოსნოში არსებული ნაკლოვანებების შესახებ და განახორციელა ღონისძიებანი. კერძოდ, სარბევის სადურგლო სახელოსნოს მატერიალურად პასუხისმგებელი პირი გ. ხელაძე განთავისუფლებულია თანამდებობიდან და გადაყვანილია მუშად.

თერჯოლის უბნის უფროსს მ. რობაქიძეს სუსტი კონტროლისათვის გამოეცხადა საყვედური. დასახულია ღონისძიებანი სამმართველოში შემავალ ობიექტებში ნაკლოვანებების თავიდან აცილებისათვის.

## კარიკატურისტის კომენტარი

ჩვენ ვიცით შემთხვევები, როცა ხალხი ჯგუფ-ჯგუფად წასულა სამუშაოდან და კაციშვილს პასუხი არ მოუთხოვია ამისათვის, ამას სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის 1978 წლის ხუთი თვის მუშაობის შედეგების შემაჯამებელი თათბირის მასალებიდან.




აი მიზეზი

გ. ლომიძის ნახატი.

„კომუნისტის" ინტერვიუ

# მეცნიერება — ცხოვრების შუაგულში!

### საუბარი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტთან აკადემიკოს ევგენი ხარაძესთან

> **უნდა ამაღლდეს სამეცნიერო - კვლევითი მუშაობის ეფექტიანობა, განმტკიცდეს მეცნიერებისა და ცხოვრების კავშირი.**
>
> სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილებიდან.



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) ჩაწერილია: საზოგადოების მოთხოვნილებათა შესაბამისად სახელმწიფო უზრუნველყოფს მეცნიერების გეგმაზომიერ განვითარებას და მეცნიერული კადრების მომზადებას, ორგანიზაციას უწევს მეცნიერული კვლევის შედეგების დანერგვას სახალხო მეურნეობასა და ცხოვრების სხვა სფეროში.

ჯერ კიდევ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან აღინიშნა ჩვენი აკადემიის დიდი, ნაყოფიერი საქმიანობა წარმოებასთან, ცხოვრებასთან მეცნიერების კავშირის განსამტკიცებლად, ის წვლილი, რომელიც მეცნიერებს შეაქვთ რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, სამეცნიერო კადრების მომზადებაში.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილებაში, რომლის ორი წლისთავი სრულდება, აღინიშნა რესპუბლიკაში მეცნიერების მაღალი პოტენციალი.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის შემდგომაც — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, აქტივის კრებებზე, აკადემიის საერთო კრებებზე, მუდამ ხაზგასმით იყო აღნიშნული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა და მის სამეცნიერო დაწესებულებათა როლი და ამოცანები. სულ ახლახან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიმდინარე წლის ხუთი თვის განვითარების შედეგები რომ განიხილეს და წლის ბოლომდე დარჩენილი პერიოდის ამოცანების შესრულების გზები რომ გამსაზღვრეს, საჭიროდ მიიჩნიეს მეცნიერული კვლევის ეფექტიანობის კიდევ უფრო ამაღლება. აკადემიის მთელმა რიგმა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტებმა და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებმა აიღეს კომპლექსური სოციალისტური ვალდებულებანი შეამცირონ ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის ნიმუშთა შექმნის ვადები და დააჩქარონ სამეცნიერო-ტექნიკურ გამოკვლევათა დანერგვა წარმოებაში. თაოსნობას ფართოდ გამოეხმაურნენ რესპუბლიკაში. ახლა მთავარია ვალდებულებებს ხორცი შევასხათ.

ავამაღლოთ მეცნიერული კვლევის ეფექტიანობა, მისი უკუგება სახალხო მეურნეობისათვის! — აი ძირითადი თემა საუბრისა, რომელიც ამ დღეებში ჰქონდათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ევგენი ხარაძეს და გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტს.

**კორესპონდენტი:** **ცხოვრებამ დაგვარწმუნა და პარტიაც გვასწავლის, რომ მეცნიერება იმდენად ჩვენი დღევანდელი დღე არ არის, რამდენადაც ხვალინდელი დღე, ჩვენი მომავალი. გთხოვთ მკითხველებს უამბოთ ამ პრობლემების შესახებ, კერძოდ — მეცნიერება დღეს, მეცნიერება დღევანდელი. და მეცნიერება ხვალინდელი, მეცნიერება მომავლისა.**

**პრეზიდენტი:** — მეცნიერება რომ ჩვენი ხვალინდელი დღეა — ეს ურყევი ჭეშმარიტებაა; ცხადია, ცოდნა და მეცნიერება კაცობრიობის განვითარების ყოველ დონეზე, ყოველ ეპოქაში ყოველთვის მის მომავალს ქმნიდა, რამდენადაც განაპირობებდა ეკონომიკისა და ტექნიკის პროგრესს. მაგრამ დღეს, როცა არნახული ძალის მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგად მეცნიერება ჩვენი ყოველდღიურობის ყოველ კუნჭულში იჭრება, ჩვენი მოღვაწეობის ყოველ სფეროზე ახდენს გადამწყვეტ გავლენას, მოყვანილი მტკიცება ახალი, უფრო ღრმაშინაარსიანი ძალით ჟღერს. მეცნიერებისა და მის საფუძველზე ტექნიკის პროგრესი ახლა მიმდინარეობს, როგორც მათემატიკოსები და ფიზიკოსები ამბობენ, ექსპონენციური კანონით, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს განვითარება უბრალოდ აჩქარებული კი არ არის, არამედ მისი აჩქარების ტემპიც უწყვეტად მატულობს და კიდევ მოიმატებს. ასეთსავე ხასიათს იძენს და უფრო საგრძნობლადაც მიიღებს ცხოვრებაში წარმოდგენილი ყველა სახეობის პროგრესი, რომელიც შობს როგორც დიდი სულიერი და მატერიალური შემოქმედების საშუალებებს, ისე ნგრევის საშუალებებსაც. ამიტომ ხვალინდელი დღე ჩვენგან მოითხოვს, ჯერ ერთი, ოპტიმალურად, ჩვენი ნებისადმი დამორჩილებულად ვმართოთ დღეს მეცნიერება. მეორეც, თანაბარი გულისყურით ვმართოთ როგორც ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკური, ისე ჰუმანიტარული მეცნიერებანი. აუცილებელი მარტო ის კი არ არის, რომ რაც შეიძლება მეტად გამოვიყენოთ მათემატიკა, ფიზიკა, ავტომატიკა და მისთანანი იმისათვის, რომ მეტი მატერიალური დოვლათი შევქმნათ და განვითარებული ტექნიკის ხარჯზე მაქსიმალურად კომფორტული გავხადოთ ჩვენი ყოველდღიურობა, არამედ ისიც, რომ კეთილ საწყისებზე დამყარებული ჩვენი სულიერი ცხოვრებაც კაცობრიობის საუკეთესო იდეალებთან თანაჟღერადობდეს. ამიტომ, ფიზიკასა თუ ბიოლოგიასთან, სოფლის მეურნეობისა თუ მანქანათმცოდნეობის სამეცნიერო დარგებთან ერთად, ასევე ბევრი მოეთხოვება ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიას, ისტორიასა და სამართლისმცოდნეობას, ფილოლოგიას, ლიტერატურათმცოდნეობას და სხვ.

საბედნიეროდ, საქართველოს მეცნიერებას მოეპოვება შესაძლებლობა ერთნაირი ძალით მიიწევდეს წინ ორივე ფლანგზე. ქართველმა მათემატიკოსებმა, ფიზიკოსებმა, გეოლოგებმა, ქიმიკოსებმა, ბიოლოგებმა დაამტკიცეს, რომ ფუნდამენტური კვლევის განვითარების, მეცნიერული სკოლების შექმნის უნარი შესწევთ; ტექნიკურ მეცნიერებათა წარმომადგენლებმა გამოავლინეს უნარი — ეფექტიანად უპასუხონ ტექნიკისა და წარმოების განვითარების მიმდინარე მოთხოვნებს. დიდი ტრადიციები მოგვეპოვება რესპუბლიკაში ისტორიის, ფილოლოგიის, ფილოსოფიისა და სხვა მონათესავე მეცნიერებათა განვითარებაში. მრავალი სამეცნიერო დაწესებულება, ხუთი ათას ხუთასი მეცნიერი მუშაკი, მათ შორის 382 მეცნიერებათა დოქტორი, 1898 მეცნიერებათა კანდიდატი, ასზე მეტი აკადემიის წევრი — აი ის პოტენციალი, რომელიც უნდა ამოძრავდეს მომავლის მოთხოვნათა შესაბამისად.

**კორესპონდენტი:** **საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო ვკითხულობთ: — გავადიდოთ საწარმოთა და სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვისათვის, ინსტიტუტებისა და საცდელ-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების მეცნიერულ-ტექნიკურ ნამუშევართა ეფექტიანობის ამაღლებისათვის.**

**როგორია განვლილი პერიოდის პოზიტიური ძვრები ამ მიმართულებით?**

**პრეზიდენტი:** ჩემი რწმენით, ცოტა რამ არ გაკეთებულა, თუმცა ვაღიარებთ, მეტის გაკეთება შეიძლებოდა. ჩვენს ქიმიკოსებს, მეტალურგებს, ავტომატიკის, მართვის სისტემების, მანქანათმცოდნეობის სპეციალისტებს მთავარი ღვაწლი მიუძღვით ამ სფეროში. ჩვენმა მეცნიერებმა და სპეციალისტებმა გააძლიერეს სიფხიზლე რესპუბლიკისათვის ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემებისადმი, როგორიც არის კოლხეთის მიწების ათვისება, მთის რაიონების სოციალური ვითარება რესპუბლიკაში, მანგანუმის ამოღებისა და გადამუშავების ინტენსიფიკაცია, ახალი კატალიზატორების ძიება და სხვ. თავისთავად იგულისხმება, რომ ჩვენს ეკონომისტებს თავიანთი წვლილი შეაქვთ აკადემიის მოღვაწეობის ამ სფეროში, იკვლევენ აგრეთვე უფრო ზოგად პრობლემას: რესპუბლიკაში განვითარებული სოციალიზმის პირობებში წარმოების ინტენსიფიკაციის პრობლემას. საერთოდ დიდი ინტერესი მოიპოვა ბოლო დროს ეკონომიკურმა და სოციალურმა პრობლემებმა. ისინი შეეხება ჩვენი მეურნეობის, მრეწველობის ოპტიმიზაციის ამოცანებს. ამასთან დაკავშირებით საძიებელი და შესაფასებელია ეკონომიკური განვითარების კრიტერიუმები.

ორიოდე კონკრეტული მაგალითიც: აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტში დამუშავდა და საბჭოთა კავშირის არაერთ მსხვილ წარმოებაში ფართოდ დაინერგა არალითონური მასალათა ქიმიური მონიკელების მეთოდი. მარტო ერთ წარმოებას უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მისმა გამოყენებამ 7 მილიონი მანეთი დაუზოგა.

1977 წლის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შორის პირველმა გამარჯვებულმა — გ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის ინსტიტუტმა ცხრა სამუშაოს შედეგები დანერგა მთელ რიგ საწარმოებში და ამით ოთხი მილიონი მანეთი დაუზოგა სახელმწიფოს.

აკადემიაში თანამიმდევრულად ვნერგავთ მიზნობრივ პროგრამებს, რომლებიც ითვალისწინებს სამეურნეო მნიშვნელობის მქონე დიდი პრობლემების კომპლექსურად დამუშავებასა და შედეგების დანერგვას რამდენიმე ინსტიტუტისა და საწარმოს გაერთიანებული ძალებით. აკადემია იკვლევს ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ რამდენიმე თემას, რომლებიც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და კვების მრეწველობის სამინისტროსთან ერთად შეიმუშავა.

და ბოლოს, ისიც აღსანიშნავია, რომ მუშაობას თანამიმდევრულად ეწევა აკადემიასთან ჩამოყალიბებული სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, რომლის წვლილიც, უდავოდ, თავს იჩენს მეცნიერული კვლევის შედეგების პრაქტიკული დანერგვის საქმეში.

**კორესპონდენტი:** **რა აზრისა ხართ მეცნიერის პირადი მაგალითის ძალაზე, მისი საზოგადოებრივი პოზიციის მნიშვნელობაზე რესპუბლიკაში ბოლო წლებში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის მიმდინარე ბრძოლის ღონისძიებათა განხორციელებაში?**

**პრეზიდენტი:** მეცნიერის პირადი მაგალითი მძლავრი იარაღია თვით მეცნიერისათვის თავისი ახალგაზრდა მოწაფეების წვრთნა-აღზრდის საქმეში. იგი აღზრდის ძლიერი ფაქტორია. საერთოდ, ახალგაზრდას უფრო ხშირად თავისი „პიროვნება-იდეალი" ჰყავს, რომლის გავლენის ქვეშაა იგი თუნდაც ქვეცნობიერად: ბაძავს მას, ცდილობს დაემსგავსოს. ეს ხან მისი მშობელი თუ უფროსი დაძმანი არიან, ხან — მასწავლებელი. ზოგჯერ ამხანაგი და მეგობარი. ასეთი „პიროვნება-იდეალის" ადგილი თუ ღირსეულმა ადამიანმა დაიკავა ახალგაზრდის სულიერ სამყაროში, ხომ კარგი, თუ არა და... უფროსი თაობის ადამიანებს, ყველას მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი მოქცევა, თავდაჭერა, სიტყვა-პასუხი, მოქმედება ოჯახში და საზოგადოებაში ახალგაზრდათა და აღსაზრდელთა თვალწინაა, მაშასადამე, წამითაც არ უნდა ვუღალატოთ ბუნებით მონიჭებულს და საზოგადოებრივად გამართლებულ ჩვენს მისიას, პირადი კეთილი მაგალითი ვიყოთ ახალგაზრდობისათვის.

რაც შეეხება რესპუბლიკაში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის გაჯანსაღებისათვის ბოლო წლებში მიმდინარე ბრძოლას, ამ საკითხზე ხშირად ვმსჯელობთ ჩვენს წრეებში. ეს ბრძოლა კმაყოფილებას იწვევს ჩვენში და გვამხნევებს. მისი უფრო ფართოდ გაშლებაა საჭირო. ეს უკანასკნელი სიტყვები დეკლარაციად კი არ უნდა ჟღერდეს, არამედ ყოველი ჩვენგანი ყოველდღიურად პრაქტიკულად უნდა ჩაებათ ამ ბრძოლაში. ამასაც ვცდილობთ.

საუბედუროდ, ზოგმა გარეწარმა შებღალა მასწავლებლისა და მეცნიერის სახელი. სრული უფლებებით უნდა აღვადგინოთ ეს წმინდა ცნებები — მასწავლებელი და მეცნიერი.

**კორესპონდენტი:** **გთხოვთ გვიამბოთ აკადემიის დიდი საკოორდინაციო საბჭოს შესახებ.**

**პრეზიდენტი:** მოგეხსენებათ, თანამედროვე მეცნიერების განვითარებას ახასიათებს როგორც დიფერენციაცია, ანუ ცალკე სპეციალობებს არხებად დაყოფა, ისე ამ სპეციალობათა რთული ურთიერთკავშირები და „გადაფარვები". ამასთანავე ერთდროულად მუშაობენ მრავალი ინსტიტუტის, უმაღლესი სასწავლებლების კათედრებისა და სხვათა დიდი კოლექტივები. ასეთ ვითარებაში, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კარგად გამართულ და მოქმედ საკოორდინაციო სისტემას. აკადემიაში არაერთი საკოორდინაციო საბჭოა, მათთან ერთად კი ცენტრალურიც: რესპუბლიკაში არსებულ სამეცნიერო დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა სამეცნიერო საქმიანობის საკოორდინაციო საბჭო. მისი ამოცანაა გამოიძებნოს და ფართოდ დაინერგოს სადისციპლინათშორისო კოორდინირებული გამოკვლევების ორგანიზაციული ფორმები. ეს მეცნიერების ორგანიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია დღეს.

**კორესპონდენტი:** **პარტია გვასწავლის, რომ ხალი შემოქმედებითი ატმოსფერო სამეცნიერო დაწესებულებაში უნდა გამორიცხავდეს კონსერვატიზმს, მონოპოლიას. მუხები არ უნდა ჩრდილავდნენ ნორჩ ხეებს. მუხის გვერდით უნდა იყოს ახალი ამონაყარი, როგორია ცვლა? ვინ აღვზარდეთ, ვის გადავეცით ჩვენი ცოდნა და გამოცდილება, ვის გადავცემთ ჩვენი მეცნიერული დარგის გასაღებს? ერთი სიტყვით, როგორ ვზრდით, როგორ კადრებს ვუზრდით მეცნიერებას?**

**პრეზიდენტი:** როგორც მესმის, კითხვა შეეხება იმას, თუ როგორ მოვიზიდავთ აკადემიაში და როგორ ვწვრთნით მომავალ ცვლას. არსებითი საკითხია. აკადემიაში ყოველწლიურად ასპირანტურაში ვიღებთ 404 ახალგაზრდას. ასპირანტურის კურსს ყოველწლიურად ამთავრებს 85-90 კაცი. მეცნიერებათა კანდიდატის დისერტაციას იცავს 40-45 ახალგაზრდა. 1976-1977 წლებში აკადემიაში ჩაირიცხა 125 ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი.

თითქმის ყველა ინსტიტუტში ჩამოყალიბებულია ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა საბჭოები, რომლებიც დირექციასთან ერთად ზრუნავენ ახალგაზრდა მეცნიერთა აკადემიური, საყოფაცხოვრებო და სხვა პირობების გაუმჯობესებისათვის. ეწყობა მათი სამეცნიერო კონფერენციები, მეტი ყურადღება ექცევა მათი ბეჭდვითი პროდუქციის საკითხებს.

საინტერესო და მნიშვნელოვანია ახალი ღონისძიება: პირველად ჩვენი აკადემიის ისტორიაში შემოვიღეთ ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა და სტუდენტთა საუკეთესო ნაშრომების კონკურსების მოწყობისა და სათანადო პრემიების გაცემის პრაქტიკა.

**კორესპონდენტი:** **მაგრამ ამასთანავე ხალი შემოქმედებითი ატმოსფერო უნდა გამორიცხავდეს ლიბერალიზმს ცოდნის შეფასებაში, მეცნიერის კვალიფიკაციაში, დაუშვებელია დისერტანტის მიმართ ლიბერალიზმი.**

**პრეზიდენტი:** ცოდნის შეფასებაში ლიბერალიზმი და მომთხოვნელობის შესუსტება რომ საზიანოა მოსწავლე ახალგაზრდობისათვის და დამწყები მეცნიერი მუშაკისათვის, ეს ჭეშმარიტებაა. სამწუხაროდ, ყოველთვის არ ვუწევთ სათანადო ანგარიშს ამ ურყევ ჭეშმარიტებას.

**კორესპონდენტი:** **თქვენმა მეცნიერულმა ხელმძღვანელობამ შორს გაუთქვა სახელი აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიას. გთხოვთ გვიამბოთ ამ დიდი მეცნიერული ცენტრის დღევანდელობაზე, მისი კვლევის პერსპექტივებზე. როგორია თქვენი ახალი მეცნიერული გეგმები?**

**პრეზიდენტი:** აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია შორეულ ცის სხეულებს იკვლევს. ზოგჯერ (და ხშირადაც) ჰგონიათ, თითქოს ამგვარი კვლევა მოწყვეტილი იყოს მიწიერ ინტერესებს. მაგრამ ეს ასე არ არის. ჯერ ერთი, იკვლიო შენი გარემომცველი სამყარო, შენი ადგილი მასში, მატერია, რომლისგანაც როგორც მიწიერი, ისე ციური სამყაროა შედგენილი, — სავსებით „მიწიერი" საქმეა. მეორეც, არსებობს სრულიად კონკრეტული ამოცანები, რომლებიც ჩვენს პრაქტიკულ ინტერესებს ემსახურება, მაგრამ ასტრონომიული კვლევის სფეროს ეკუთვნის. მაგალითად, მზის ატმოსფეროში მიმდინარე მოვლენების გავლენა დედამიწისეულ პროცესებზე; დედამიწისახლო კოსმოსური სივრცის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების შესწავლა, რის შედეგებიც გზას უკაფავს კოსმონავტიკასა და მომავლის ზესწრაფ ავიაციას; მატერიის აგებულება და მასში ჯერ დამალული, მაგრამ აუცილებლივ გამოსამზეურებელი ენერგიის წყაროები და მრავალი სხვა. კოსმონავტიკა ვახსენეთ. გაზეთის შესაძლებლობა გვზღუდავს თორემ ადვილად დავასაბუთებდი, რომ ადამიანის მოღვაწეობის ეს დარგი ყოველ მიწიერზე უფრო მიწიერია თავისი ამოცანებით, შინაარსით, შედეგებითა და ინტერესებით, მისი დინამიკური საფუძვლები კი მთლიანად ასტრონომიული კვლევის შედეგებს ემყარება.

აბასთუმანში ობსერვატორიის მუშაობამ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე დაადასტურა, რომ ასტროფიზიკური თვალსაზრისით იგი, ყველა სხვა საბჭოთა დიდ ობსერვატორიას შორის, საუკეთესო ბუნებრივ პირობებში, ანუ საუკეთესო ატმოსფერული რეჟიმის პირობებშია მოქცეული. ამას აგრეთვე ადასტურებს შემდეგი რამ: გარემოს გაუჭუჭყიანებას ახლა ხომ დიდი ყურადღება ექცევა ბუნების დაცვის გლობალური პრობლემის თვალსაზრისით. აუცილებელია გლობალური სისტემატური რაოდენობრივი შეფასება ამ გაჭუჭყიანებისა ანთროპოგენური ფაქტორებით. ამისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია ობიექტურად შეფასდეს ბუნებრივი აეროზოლების შემცველობა იდეალური სისუფთავის ატმოსფეროში. ბუნების დაცვის საქმეში თანამშრომლობის საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების კომისია შარშან წინასწარ გაეცნო ატმოსფერულ პირობებს ყანობილის მთაზე, სადაც ობსერვატორია მდებარეობს, და მიიჩნია, რომ ეს პირობები ერთობ ხელსაყრელია ამგვარი ამოცანის გადასაჭრელად და ახლა მზადდება კიდეც ასეთი გაერთიანებული ექსპედიცია ფართო პროგრამით კვლევის ჩასატარებლად.

აი კიდევ ერთი დასტური ჩვენი „ციური" მეცნიერების „მიწიერობისა"! ასტრონომთა ერთსულოვანი კოლექტივი თავგამოდებით მუშაობს ყანობილის მთაზე, დღისით და ღამით აკვირდება ცის შორეთს, და ეს სხვა დარგების მეცნიერებთან ერთად ადამიანის კეთილდღეობის ყოველდღიურ ინტერესებს ემსახურება.

**კორესპონდენტი:** **დიდია ქართველი მეცნიერების ჰორიზონტები, შორს გაითქვა მან სახელი. ეჭვი არ არის, მეათე ხუთწლედში, პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში კვლავაც დიდი იქნება მისი წვლილი. ხომ პოვებს ეს გამოხატულებას მეცნიერული კვლევის შედეგების დანერგვაში, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში?**

**პრეზიდენტი:** რა თქმა უნდა, პოვებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გეგმებს, საფუძვლად უდევს მთელ ჩვენს ამჟამინდელ საქმიანობას და მომავალ ზრახვებს. აშკარაა, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ინტერესები რაც შეიძლება სრულად იქნება გათვალისწინებული.

**კორესპონდენტი:** **რა ღონისძიებანი ხორციელდება სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაფართოებისათვის?**

**პრეზიდენტი:** მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოების გეგმა ემყარება სამეცნიერო-საწარმოო ნაგებობათა მშენებლობის ჩვენს გეგმას. ამასთანავე ჩვენი უახლესი ამოცანაა გამოთვლითი მანქანების ძლიერი პარკი შევქმნათ გამოთვლითი ცენტრისა და ექსპერიმენტთა დამუშავების კოლექტიური სარგებლობის ავტომატიზებული სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

**კორესპონდენტი:** **როგორ გაქვთ წარმოდგენილი, როგორც ახალ პრეზიდენტს, აკადემიის უახლოესი მომავალი?**

**პრეზიდენტი:** ფუნდამენტური კვლევის გაღრმავება, ჩამოყალიბებული სამეცნიერო სკოლების განვითარება, ცხოვრებასთან კიდევ უფრო მეტი კავშირი მეცნიერული შედეგების პრაქტიკაში დანერგვის გზით, ახალგაზრდა კადრების უფრო გაბედული მოზიდვა, წვრთნა და დაწინაურება.

---

მსოფლიოს ამბები

საქდესის ინფორმაცია

## მაღალი შეფასება

### გერმანიის კომპარტიის გამგეობის პლენუმი

**ბონი, 19 ივნისი. (საკდესი).** დიუსელდორფში გაიმართა გერმანელთა კომპარტიის გამგეობის პლენუმი. მოხსენება გააკეთა გერმანელთა კომპარტიის თავმჯდომარის მოადგილემ გ. გოტიემ, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ვიზიტის შედეგებს.

„გერმანელთა კომპარტია, — თქვა მან, — ხელმძღვანელობს მშრომელთა ინტერესებით, გადაჭრით მოითხოვს იმ პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც ფიქსირებულია ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტის დროს ხელმოწერილ დოკუმენტებში. იგი მხარს უჭერს სსრ კავშირის წინადადებებს განიარაღების შესახებ, რადგან სწორედ ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე სისტემის მიჯნაზე მდებარეობს, არ შეიძლება იყოს უფრო გადაუდებელი საკითხი, ვიდრე ომის საშიშროების შემდგომი შემცირება".

გ. გოტიემ შემდეგ შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ ამ ბოლო დროს დასავლეთ გერმანიის საგარეო პოლიტიკაში თავს იჩენს წინააღმდეგობანი. ერთი მხრივ, თქვა მან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს, რომ სურს განაგრძოს დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის უზრუნველყოფის პოლიტიკა. მაგრამ ამავე დროს იგი მონაწილეობას იღებდა ნატოს გადაწყვეტილების მიღებაში შეიარაღების გადიდების შესახებ. ჩვენ მოვითხოვთ მთავრობისაგან, რომ მისი განცხადებანი ეთანხმებოდეს საქმეებს, თქვა გ. გოტიემ.

## მკაცრად გააკრიტიკეს

**ვაშინგტონი,** 19 ივნისი. (საკდესი). აქ დამთავრდა ორგანიზაცია „დემოკრატიული მოქმედების მომხრე ამერიკელთა" ყოველწლიური კონფერენცია, რომელზეც ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი პროგრესული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ეროვნული უმცირესობანი. დიდი ყურადღება დაეთმო მშვიდობისათვის ბრძოლას, აქტუალური საგარეო-პოლიტიკური და სოციალური პრობლემების, აგრეთვე იმ საკითხების განხილვას, რომლებიც დაკავშირებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში ადამიანის უფლებათა დარღვევასთან.

კონფერენციის მონაწილეებმა მკაცრად გააკრიტიკეს ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა, ხაზი გაუსვეს, რომ გამალებული შეიარაღების გაძლიერებისა და დაძაბულობის შენელების პოლიტიკაზე უარის თქმის კურსი, რომელსაც მთავრობა ახორციელებს, წამლავს საერთაშორისო პოლიტიკურ კლიმატს და „ცივი ომის" დაბრუნების საშიშროებას ქმნის.

## ნატოს იარაღისათვის

**ლონდონი, 19 ივნისი. (საკდესი).** ორდერშოტში, ლონდონის მახლობლად, გაიხსნა ინგლისის იარაღისა და სამხედრო ტექნიკის გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია ინგლისის დაახლოებით 250 კომპანიის პროდუქციის 10 ათასზე მეტი ნიმუში — სამხედრო პოლიციის ხელკეტებით დაწყებული და მძიმე ტანკებითა და საბრძოლო რაკეტებით დამთავრებული.

პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმას, რომ გამოფენის საპატიო სტუმართა — ნატოელ გენერალთა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მესვეურთა შორის არის ჩინეთის სამხედრო დელეგაცია. იგი პირადად მიიწვია დიდი ბრიტანეთის თავდაცვის შტაბის უფროსმა ნ. კამერონმა, რომელიც ამას წინათ იყო პეკინში, სადაც გააკეთა პროვოკაციული განცხადება, რითაც დაადასტურა სოლიდარობა ჩინეთის ხელმძღვანელობის ანტისაბჭოთა პოზიციისადმი.

ჩინეთის დელეგაციას შესაძლებლობა ექნება დაათვალიეროს ინგლისის მსხვილი სამრეწველო საწარმოები, აგრეთვე დაესწროს ახალი საბრძოლო ტექნიკის დემონსტრაციას.

ინგლისში პეკინის სამხედრო დელეგაციის ყოფნა იმ ფართო სამხედრო-დიპლომატიური აქციის ნაწილია, რომელიც ახლა ჩინეთის ლიდერებმა გააჩაღეს, რათა დასავლეთში მიიღონ ახალ სახეობათა შეიარაღება, რომელთაგან ბევრს სულაც არა აქვს თავდაცვითი ხასიათი.

## საძრახისი ლიდერობა

### ამერიკელი ბიზნესმენი აღიარებს

**სან-ფრანცისკო, 19 ივნისი. (საკდესი).** მსოფლიოში იარაღის არსენალების საშიში გაძლიერების მთავარი მიზეზი შეერთებული შტატებია, განაცხადა ამერიკელმა ბიზნესმენმა გ. უილენსმა.

უკანასკნელი 30 წლის მანძილზე, წერს იგი „ლოს-ანჯელეს ტაიმსში", ამერიკის შეერთებული შტატები ლიდერობდა შეიარაღების ესკალაციაში. საბოლოო ანგარიშით, ჩვენ, ამერიკელებს, მიგვიძღვის დანაშაული, რომ მივსდევთ ხელმძღვანელთა გზაზე, რომელმაც საშიშ ზღვარს მიაღწია. ჩვენ მას დავაშინებინეთ და შეცდომაში შევიყვანინეთ თავი იმ მტკიცებებით, თითქოს უშიშროება ჩვენს განკარგულებაში არსებული ბირთვული მუხტების რაოდენობაზე იყოს დამოკიდებული.

დანაშაული მიუძღვით ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსაც, რომლებიც ხელს უშლიან მოსახლეობას შეიგნონ, რომ ბირთვული არსენალების გაძლიერებული დაგროვება არ იწვევს ეროვნული უშიშროების განმტკიცებას, წერს იგი შემდეგ. „ეროვნული უშიშროების" გულისათვის შეერთებულმა შტატებმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიარაღებას 1,75 ტრილიონი დოლარი მოახმარა, მაგრამ ამით ამერიკელი ხალხი სრულიადაც არ გრძნობს თავს უფრო უშიშრად.

მაგრამ ძირითადი ბრალი, წერს გ. უილენსი, მაინც სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს მიუძღვის, რომელიც პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად განსაზღვრავს ამერიკის შეერთებული შტატების ბედს. ამჟამად შეიარაღების ფაბრიკანტები, რომლებიც ახალ მოგებას ესწრაფვიან, დაჟინებით მოითხოვენ ფრთოსანი რაკეტების, ნეიტრონული ბომბის, „მხ" რაკეტების წარმოებას, თანაც ამ მხრივ მათ აქეზებენ „ცივი ომის" მომხრენი.

მოკლედ

## ყოველი მხრიდან

● **ბანგკოკი.** ტაილანდის ქალაქ პატაიაში დამთავრდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირი. ინდონეზიის, მალაიზიის, სინგაპურის, ტაილანდისა და ფილიპინების წარმომადგენლებმა განიხილეს დაჯგუფების მონაწილეთა პოზიცია ამერიკის შეერთებულ შტატებთან და „საერთო ბაზრის" ქვეყნებთან ეკონომიკურ პრობლემათა შესახებ მომავალ მოლაპარაკებაზე, იმსჯელეს ძეზობელ ინდოჩინეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობის განვითარების საკითხებზე, განიხილეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა ასოციაციის ფარგლებში თანამშრომლობის პრობლემები.

● **ლუანდა.** ნამიბიელ პატრიოტებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ შეიარაღებული ბრძოლა მთლიანი გახთავისუფლებისა და ნამდვილი დამოუკიდებლობისათვის, სამხრეთაფრიკელი რასისტების მიერ ჩვენი ტერიტორიის უკანონო ოკუპაციის წინააღმდეგ, განაცხადა აქ სვაპოს პრეზიდენტმა სემ ნუიომამ.

მან კატეგორიულად უარყო ნამიბიის უოლფიშ-ბეის ხავსადგურისადმი პრეტორიის უკანონო პრეტენზიები.

● **ჩეხოსლოვაკიაში** მიიღეს წყალთა მეურნეობის 2000 წლამდე განვითარების გრძელვადიანი პროგრამა.

გაანგარიშების შესაბამისად, ორი ათეული წლის შემდეგ ქვეყანაში წყლის ხმარების საერთო მოცულობა ერთიორად გაიზრდება. იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს მრეწველობისა და მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება წყალზე პროგრამაში გათვალისწინებულია 40 ახალი დიდი წყალსატევის შექმნა, რომელთა საერთო მოცულობა 1 მილიარდ 800 მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს.

---

## მასების იდეური იარაღი

**ამ დღეებში** თბილისში გაიმართა რესპუბლიკის პროფკავშირული აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებებს „მცირე მიწასა" და „აღორძინებას" და პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანებს მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური და პატრიოტული აღზრდის, მუშაობის სტილისა და მეთოდების დახვეწისათვის ამ წიგნებში მოცემული იდეების შესაბამისად.

კრება გახსნა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა **ზ. კვაჭაძემ.**

მოხსენება გააკეთა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **თ. მოსაშვილმა.**

კრებაზე გამოვიდნენ აჭარის საოლქო პროფსაბჭოს თავმჯდომარე **შ. ოქროპირიძე,** აფხაზეთის საოლქო პროფსაბჭოს მდივანი **შ. ლაკობა,** მცირე მიწის ბრძოლების მონაწილე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, მაიორი **თ. გოთუა,** თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშა, დიდი სამამულო ომის ვეტერანი **ვ. პოხვეხოვი** და სხვები.

მათ თქვეს, რომ ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებანი კონკრეტული მაგალითებით გვასწავლიან პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის უნარიან ორგანიზაციას, შეიცავენ ღრმა მსჯელობებსა და დასკვნებს, მუშაობის ლენინური სტილის, ფორმებისა და მეთოდების შესახებ, გვიჩვენებენ იმ გზებს, რომლებიც უზრუნველყოფენ წარმატებას.

ამ წიგნების შინაარსი, ხაზგასმით აღინიშნა კრებაზე, მჭიდროდაა დაკავშირებული დღევანდელ ამოცანებთან, საბჭოთა საზოგადოების შემდგომი განვითარების პერსპექტივებთან.

აქტივის კრებამ ურჩია პროფკავშირთა საოლქო საბჭოებს, რესპუბლიკურ კომიტეტებს, საფაბრიკო, საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს ფართოდ გამოიყენონ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებებში ჩამოყალიბებული რეკომენდაციები და დასკვნები იმისათვის, რომ აღზარდონ მშრომელები მაღალი კომუნისტური იდეურობის, შემოქმედებითი ენთუზიაზმის სულისკვეთებით, სრულყონ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის სოციალისტური შეჯიბრებისა და მოძრაობის ორგანიზაცია. (საქინფორმი).

## მეცნიერება და ტექნიკა



სამეცნიერო-სა- [illegible] იუგოსლავიის, უნგრეთის, ირანის დიდი მშენებლობები.

ქარხანა ბევრი ახალი მანქანის ათვისებას აპირებს. აქ აგრეთვე ითვისებენ მიკროელექტრონულ ბაზაზე მარეგისტრირებელ მოწყობილობას „კოლხეთი-10" საწარმოთა ტერიტორიაზე იმ პირების შესაშვებად, რომელთაც კოდირებული საშვები აქვთ.

• • •

სურათზე: (მარცხნიდან) მოწინავე ბრიგადის ხელმძღვანელი ომარ ხუგაშვილი, ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ავთანდილ სამხარაძე და ელექტრომემონტაჟე ლიდა აივაზოვა.

გ. კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## ვიეტნამის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა

**ჰანოი.** 19 ივნისი. (საკდესი). ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კვლავ მისცა წინადადება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს ვიეტნამში დანიშნოს თავისი წარმომადგენელი, რათა დაუყოვნებლივ დაიწყონ მოლაპარაკება კონკრეტულ საკითხებზე იმის შესახებ, რომ დროზე მოამზადონ ჩინეთის გემების მოსვლა ვიეტნამის ნავსადგურებში ჩინური ეროვნების იმ პირთა გადასაყვანად, რომლებსაც სურთ დატოვონ ვიეტნამი და ჩინეთში გაემგზავრონ. ეს ნათქვამია ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტაში, რომელიც დღეს გაეგზავნა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჰანოის საელჩოს. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ დღემდე ჩინეთის საელჩოს არ მოუცია არავითარი პასუხი ამ საკითხზე ვიეტნამის მხარესთან მოლაპარაკების შესახებ.

ბუშინ მოსკოვიდან

# პოეტის აღიარება

## ირაკლი აბაშიძის ლექსები ცენტრალური ტელევიზიით

20 ივნისს 21 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით „ვრემიას" პროგრამის შემდეგ ცენტრალური ტელევიზიით ოსტანკინოს საკონცერტო სტუდიიდან მოეწყო ირაკლი აბაშიძის პოეზიის საღამოს ტრანსლაცია.

მილიონობით საბჭოთა ადამიანმა — პოეზიის მოყვარულმა მოისმინა ქართველი პოეტის სხვადასხვა დროს დაწერილი ლექსები. ისინი წაიკითხა თვით ი. აბაშიძემ, აგრეთვე პოეტებმა, რომლებიც თარგმნიან ქართული პოეზიის ნიმუშებს და ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის კუთვნილებად აქცევენ მათ.

ი. აბაშიძის ლექსების თავიანთი თარგმანები წაიკითხეს ბ. ახმადულინამ, ე. ევტუშენკომ, ა. მეჟიროვმა, ა. ტარკოვსკიმ, ვ. სოლოუხინმა, ი. რიაშენცევმა, მ. სინელნიკოვმა, ს. კუნიაევმა.

პოეზიის მოყვარულნი გაეცნენ ირაკლი აბაშიძის შემოქმედებით გზას. თავის ნაწარმოებებში პოეტი შთაგონებით უმღერის ჩვენი ხალხების „ერთიან ოჯახს", დიად სამშობლოს.

# იმედის ტური

## პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის VI კონკურსი

ახალგაზრდა პიანისტებმა, რომლებიც პირველად ჩაებნენ საკონკურსო შეჯიბრებაში, 19 ივნისს დედაქალაქის კონსერვატორიის დიდ დარბაზში პირველმა დაამთავრეს დაწყებითი ტური. ... ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში მაიაკოვსკის მოედანზე. მევიოლინეთა ასპარეზობაზე სხვებთან ერთად გამოვიდა 28 წლის ირანელი ალი ფორუგი, მოსკოვის კონსერვატორიის აღზრდილი ...



# დ. ხანთაძე



გარდაიცვალა თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიკის კათედრის დოცენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, სკკპ წევრი 1937 წლიდან, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი დავით გიორგის ძე ხანთაძე.

დ. ხანთაძე დაიბადა 1905 წელს ქ. ქუთაისში. 1924 წელს დაამთავრა ქუთაისის პირველი ჰუმანიტარული ტექნიკუმი, 1928 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, ხოლო 1948 წელს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული უმაღლესი პარტიული სკოლა.

დ. ხანთაძე 1937 წელს მუშა-...

...ნაცნობსა და მეგობარს, რომლებმაც გაიზიარეს ჩვენი მწუხარება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ კ. ბარამიძის გარდაცვალების გამო.

კ. ბარამიძის ოჯახი.

ჩვენი ცნობარი

# საქართველოს ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი



## აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1978-79 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

1\. სწავლება წარმოებას მოუწყვეტლად.

სამშენებლო ფაკულტეტი (ლენინის ქ. 64. I კორპუსი, V სართული, 518-ე ოთახი).

1\. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (ქართული და რუსული სექტორები); 2. სამშენებლო ნაგებობათა და კონსტრუქციების წარმოება (ქართული სექტორი); 3. მშენებლობა (ინჟინერ-პედაგოგები, ქართული სექტორი).

ენერგეტიკული ფაკულტეტი (ლენინის ქ. 75. III კორპუსი, I სართული, 140 ოთახი).

... ფაკულტეტი (ლენინის ქ. 64. I კორპუსი, VI სართული, 637-ე ოთახი).

1\. ლითონთა ფიზიკა (ქართული სექტორი), 2. ნახევარგამტარები და დიელექტრიკები (ქართული სექტორი).

არქიტექტურის ფაკულტეტი (ლენინის ქ. 64, I კორპუსი, IV სართული, 402-ე ოთახი).

1\. არქიტექტურა (ქართული და რუსული სექტორები).

ჰიდროტექნიკისა და სანტექნიკის ფაკულტეტი (ლენინის ქ. 64. I კორპუსი, II სართული, 204-ე ოთახი).

...ბის ფაკულტეტი (რუსთავი, რუსთაველის 16).

1\. შავი ლითონების მეტალურგია; 2. ლითონების წნევით დამუშავება; 3. არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია; 4. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; 5. მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები; 6. მართვის ავტომატიზებული სისტემები (ქართული სექტორები).

გორის საღამოს სწავლების ფაკულტეტი (გორი, საბჭოს 37).

1\. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; ...

...ხაზვა, მათემატიკა (ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი).

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტზე: მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა (წერა და ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი).

ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიულ ფაკულტეტზე: მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა), ... (ზეპირი) მათემატიკა (ზეპირი), ფიზიკა (წერა).

ყველა დანარჩენ ფაკულტეტზე — მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა) ...

სსრ კავშირის თასზე

# ვინ გააგრძელებს ბრძოლას

დღეს თბილისში, ბაქოში, ლენინგრადსა და მოსკოვში გაიმართება სსრ კავშირის თასის გათამაშების განმეორებითი მეოთხედფინალური შეხვედრები. თბილისის „დინამო" უმასპინძლებს მოსკოვის „ლოკომოტივს", ბაქოს „ნეფთჩი" — დონეცკის „შახტიორს", ლენინგრადის „ზენიტი" — კიევის „დინამოს", მოსკოვის „ტორპედო" — მოსკოვის „დინამოს". შეგახსენებთ პირველი მეოთხედფინალური შეხვედრების შედეგებს: თბილისელები „ლოკომოტივთან" დამარცხდნენ ანგარიშით 0:1, კიევის დინამოელებმა მოუგეს „ზენიტს" — 3:2, მოსკოვის დინამოელებმა „ტორპედოს" — 2:1, ხოლო „შახტიორმა" და „ნეფთჩიმ" ფრედ დაამთავრეს ...

... ასეთ შემთხვევაში სტუმრად გატანილი 1 გოლი უკვე ორად ფასობს და „ლოკომოტივი" გავა ნახევარფინალში.

# მსოფლიო ჩემპიონატის ირგვლივ

## ლაპარაკობენ მწვრთნელები

დღეს მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ფინალური წრის ბოლო მატჩები გაიმართება და გაირკვევა, ვინ ითამაშებს ფინალში და ვინ — III საპრიზო ადგილისათვის. ერთი რამ უკვე ცხადია, რომ მომდევნო, დასკვნით ეტაპში თამაშის რეალურ პრეტენზიას აცხადებენ იტალიის, ჰოლანდიის, არგენტინისა და ბრაზილიის გუნდები, ხოლო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და პოლონეთის კოლექტივებმა წარმატების თეორიული შანსები შეინარჩუნეს.

მეორე ფინალური წრის მეორე ტურის მატჩების შემდეგ ნაკრები გუნდების მწვრთნელებმა შემდეგი განაცხადეს:

... იან. პერუელებთან მატჩის დაწყების წინ მათ უკვე ეცოდინებათ პოლონელებთან ჩვენი შეხვედრის შედეგი და ამის შესაბამისად ააწყობენ თავიანთ თამაშს".

ლუის მენოტი (არგენტინა) —„ბრაზილიელებმა ითამაშეს კარგად. მათ მინდვრის შუა ნაწილი დაიპყრეს. ბრაზილიის ნაკრები ჩვენი ყველაზე ძლიერი მეტოქე იყო. ფინალში გასვლისათვის საჭიროა პერუელებთან დიდი ანგარიშით მოგება, რაც ერთობ ძნელი საქმეა".

მარკოს კალდერონი (პერუ) —„ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს მეორე ფინალური წრის ბოლო ტურის მატჩი გამარჯვებით დავამთავროთ, თუმცა ეს ძალიან ძნელი იქნება. ...

სპორტი

# მოკლედ

ჩეხეთი. დღევანდელი ფეხბურთის თასის გათამაშების ევროპული ზონის მეოთხედფინალური მატჩი, რომელიც პრაღაში გაიმართა ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის ნაკრებ გუნდებს შორის, მოიგეს მასპინძლებმა ანგარიშით 3:2. ასეთივე ანგარიშით გამარჯვებს ბუდაპეშტში უნგრელებმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩოგბურთელებთან შეხვედრაში, ხოლო ინგლისელებმა ბრისტოლში დაამარცხეს ავსტრიის ნაკრები — 5:0.

ფრანკფურტი. სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა იაპონიაში თავისი ტურნეს პირველი მატჩი მოუგო ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს ანგარიშით 3:2. საბჭოთა სპორტსმენები იაპონიაში კიდევ 4 შეხვედრას გამართავენ.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

## ტელევიზია

### 21 ივნისი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 18.30 — შეისწავლეთ გერმანული ენა, 19.00 — კონცერტი, 19.30 — ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების მეორე მეოთხედფინალური მატჩი. „დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი). რეპორტაჟი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან (ფერადი), შესვენების დროს — მულტიპლიკაციური ფილმი, 21.15 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.40 — „მარადისობა". განმეორებით (ფერადი), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — მსოფლიო პირველობა ფეხბურთში: პოლანდიისა და იტალიის ნაკრები გუნდები (არგენტინიდან), 23.45 — მსოფლიო პირველობა ფეხბურთში: ბრაზილიისა და პოლონეთის ნაკრები გუნდები (არგენტინიდან).

მეორე პროგრამით

18.00 — სტუდენტთათვის — მასალათა გამძლეობა, 18.45 — კინონარკვევი, 18.55 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა, 19.40 — განცხადებები, 19.45 — მხატვრული ფილმი „დუბლიორი", 21.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ავტომარში" (ფერადი), 21.30 — სასტრადო კონცერტი.

## თეატრი

### 21 ივნისი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ტრუბადური; რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — კავკასიური ცარცის წრე; რუსთაველის სახელმწიფო დრამატული თეატრი (გრიბოედოვის სახელობის თეატრის შენობაში) — ცილინდრი; მეტეხის თეატრი — კაცის ტვირთი.

კომუნისტი
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები—99-93-03, 99-03-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, სამდივნო — 99-66-10, განყოფილებები: პარტიული —99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.